

ჰორიზონ ვგ

სევარჯიშობა კრებული

ბავშვებისთვის,
რომლებმაც ოჯახური
ძალადობა განიცადეს

თერპავოს სესიების ცენტრი



ი. ლევანბურგი
ქ. მ. ვისერი
ფ. ლამერს-ვინკელმანი

ილუსტრაციების ავტორი:
ნ. ერკამპი

ჰორიზონ ვე

სევარჯიშობა კრებული

ბავშვებისთვის,
რომლებმაც ოჯახური
ძალადობა განიცადეს

თერპევტის სესილებულონ

ი. ლევენბურგი
გ. მ. ვისერი
ფ. ლამერს-ვინკელმანი



თქვენს წინაშეა სახელმძღვანელოთა ნაკრები:

ჰუსტონი ვა სავარჯიშოთა კრებული ბავშვებისთვის, რომლებმაც ოჯახური ძალადობა განიცადეს.

ჰუსტონი ვა სავარჯიშოთა კრებული ბავშვებისთვის, რომლებმაც ოჯახური ძალადობა განიცადეს. თერაპევტის სახელმძღვანელო.

ჰუსტონი ყველა სავარჯიშოთა კრებული მშობლებისთვის, რომელთა შვილებმაც ოჯახური ძალადობა განიცადეს.

ჰუსტონი ყველა სავარჯიშოთა კრებული მშობლებისთვის, რომელთა შვილებმაც ოჯახური ძალადობა განიცადეს. თერაპევტის სახელმძღვანელო.

ჰუსტონი ვა

სავარჯიშოთა კრებული ბავშვებისთვის, რომლებმაც ოჯახური ძალადობა განიცადეს. თერაპევტის სახელმძღვანელო.

ი. ლეუვენბურგი, მ. მ. ვისერი, ფ. ლამერს-ვინკელმანი.

ტექსტი თარგმნილია დავით ლოლიჭაშვილის მიერ.

დაკაბადონება და დიზაინი: გიორგი ლოლიძე.

რედაქტორი: ლია სარალიძე, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

გამოცემულია: 2012 წელი.

ISBN 978-9941-0-4271-3

©საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2012
ორიგინალური ვერსიის გამოცემის საავტორო უფლება ეკუთვნის:

©2007 B.V.Uitgeverij SWP Amsterdam.

პუბლიკაცია მომზადებულია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არა აუცილებელი ასახვდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.



ს პ რ ჩ ე ვ ი

შესტატურა	5	
სეიდ 1	შესავალი	13
სეიდ 2	ერთმანეთის უკეთ გაცნობა	19
სეიდ 3	გრძნობები	23
სეიდ 4	უსაფრთხოება	27
სეიდ 5	კონფლიქტი და ძალადობა I	31
სეიდ 6	კონფლიქტი და ძალადობა II	35
სეიდ 7	ბრაზი	39
სეიდ 8	ამბის მოყოლა	45
სეიდ 9	განსხვავებული გრძნობები ერთდროულად	47
სეიდ 10	საიდუმლო	49
სეიდ 11	სიზმრები და კოშმარები	53
სეიდ 12	კარგი და ცუდი	59
სეიდ 13	ცვლილებები	63
სეიდ 14	დამშვიდობება	67
სეიდ 15	უკანასკნელი შეხვედრა	69
ეპლობა	73	

ԵՐԵՍՈՒՄԱՅԻՆ

ՏԵՎԱԿԱՌԱՋՈՒԹՅ
ԱԽԱՑՈՂԻ ՀԱ
ՏԵԽԱՀԱՆԱԿԵ-
ԸԹ

Վոնամքյեարյ Տաելմմդզանյելոր ցանյշտցիօնուա ծագմբուա տյրապյ-
ցըո-ցլույթոլոցյեաստցուս, րոմլցյուց ոչաեյրո ծալագոնաս մես-
ցըրքլուա րյածույթուացուանց թյշառնեն. Տաելմմդզանյելու տան
յրուցու Տավարչյութուա յրյեցյուլու այցինեացու ցյուրցլցիու.

Մուցյուլու Տաելմմդզանյելու դա Տավարչյութուա յրյեցյուլու Վար-
մուացցին յրու մուլուանոնաս որ Տեսա ցամուցյմաստան յրուագ. Ենց-
նու: “Տավարչյութուա յրյեցյուլու մմոնցլցյեաստցուս, րոմլցլուա Շյուլցի-
մա ոչաեյրո ծալագոնա ցանուցացց” դա Շյեսաձամուսու “տյրապյցիու
Տաելմմդզանյելու” (Յուղու, Հայուցնեցյուրցու դա Համյրե-ցոնցալմանու,
2006 թ.).

Եյ հատցլուու ամ Վոցնս մնամնարյշյուլու նորմաթուցեանու յրյեցյուլագ.
Արամյեց մուլցյու ուս, րոցորու Ռյառմյենցացուա, մացալուու մմուսա, ոյ րոցոր
Շյցուցուու մմուշառու. ոյմուա ցորհիցու, ցատցալուսինուու
դա դաւցատ ոյմյեան տանամումցյցրոնա, րացցան յեւ Շյտանեմյեցյուլու
մմոնցյլուա յրյեցյուլուս ոյմյեանու.

Տյրապյցիմա Շյեսամցլցյեալուա ցաճա՞ցիօթու, րոմ մուցյուլու ձրո-
ցրամա Շյցուցուա Տակուրոյեան, Շյուուցլցյեա տացագ ծագմբյեմաց մուուեո-
ցոն ամա ոյ մմուս համաթիւնա, մացրամ ցաեսոցցու, րոմ Շյեսաձամուսու
ցուցուցլցյեա մմոնցյլուա տյրապուս ձրոցրամանու Շբճա Շյութանու.

ՀԱՅԱՀԱ
ԱՌԱՋԱ

Ոչաեյր մլագոնանու ցանուեուցյեա զերեալյուրու ոյ յութոյյշրու ծա-
լագոնա ոչաեսու Վյցրյեա Մորուս, ան ցամյունյեցյուլու Բեշյու, րո-
մյելուց Շյուուցլցյեա ցունույշյուր մալագոնանու ցաճանիանցու. ամ լորուս
ծագմբյու ան տացագ արուան մալագոնանու յշյալու ոծոյյեյթու, անճա մումյ-
ամցարու յոնցլույթյուրու Տությացուցիու ծագմբյու լուս թյմոյմյեցյեանու
աեցյու. Եոցչյեր ծագմբյու Տությացուցիու ար յեվրյեա յոնցլույթու, մացրամ
յյելայցյերու յեմուս տացուս ոտաենուան, մմոնցյլցյեան յու ուս մմոնարու
ցոնուատ. ծագմբյու Եմուրաց յոյյերու, րոմ Բեշյու մատ ցամու եցյունա,
ասշյեսոմցյելոնա ցրմոնցյու մմոնցյլցյեան դա, ցանսայշտրուցյեանու, յի-
ցրուսու դա-մյեանու մմուարու.

Ծագմբյուս Յություրու Ռյայցուա ոչաեյր մալագոնանց արուս Շումու դա
դամակյելոնա. Եոցչյեր լուսույլոնա դա ոնդոյյերյենցյուլոնա. Եոցի
ծագմբյու աշլցյուս ցաճութիւննեցյուլոնա, րուսեսան, եցյունա յշյեմու
դա Բեշյուստացու. ակյու ծագմբյուս դարձայցյուլու այցու յասայրուեոյ-

ბის გრძნობა, არ იციან, ვის ენდონ და ვის – არა. არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებული და ყოველი კუთხიდან ხიფათს მოელიან. მათ ხშირად აბრაზებენ თანატოლები სკოლასა თუ ქუჩაში, ხოლო საკუთარი სახლი – ერთადერთი ადგილი, სადაც წესით უსაფრთხო და სანდომიანი ატმოსფერო უნდა სუფევდეს – სახიფათო და შიშისმომგვრელი გამხდარა.

ჯგუფურ თერაპიაზე ბავშვები თამაშობენ, ვარჯიშობენ, ხატავენ და საუბრობენ მომხდარის შესახებ. ეს ყველაფერი ხდება მშვიდ, დაუძაბავ გარემოში. გაცილებით ადგილია საუბარი, თამაში და ვარჯიში სხვა ბავშვებთან, რომლებსაც იგივე აქვთ გადატანილი. საუბარი კი მუდამ კონკრეტულ პრობლემას ეხება, საჭირო არაა მას ამა თუ იმ მიზეზის გამო თავი ავარიდოთ. ამას თერაპევტმა პირველივე სესიაზე უნდა გაუსვას ხაზი.

პრობლემაზე მუშაობა გაცილებით ადგილია ჯგუფურ გარემოში, ვიდრე ინდივიდუალურ თერაპიაზე. ბავშვები ერთმანეთის მხარდაჭერას გრძნობენ, თითოეული ხვდება, რომ დანარჩენებსაც იგივე აწუხებთ, რაც მას. ერთმანეთის მხარდაჭერით ისინი ნელ-ნელა ნდობას იპრუნებენ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვებისადმი.

ასეთი

ჯგუფები ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით დგება. მიღებულია ჯგუფები 4-დან 5 წლამდე, 6-დან 8 წლამდე და 9-დან 11 ან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. თუმცა, აუცილებელი არაა მკაცრად დავიცვათ ასაკობრივი ზღვარი. 6 წლის გონებაგახსნილი ბავშვი თამაშად შეგვიძლია დავსვათ 10 წლის ბავშვთან ერთად, რომელიც ნაკლებად სხარტია.

5-6 წლის ბავშვებმა, როგორც წესი, ჯერ არ იციან გამართულად წერა-კითხვა. სამაგიეროდ შეუძლიათ ხატვა, გაფერადება, ნახატების ამოჭრა და სხვაგან ჩაწებება. თუმცა აქ მოცემული სავარჯიშოები ძირითადად გასაგებია ამ ასაკის ბავშვებისთვის. თუ გარკვეული სავარჯიშო მაინცდამაინც დაბრკოლებას შექმნის წერა-კითხვის უცოდინრობის გამო, შეგიძლიათ თავად შეავსოთ ბავშვების ნაცვლად, ან უკიდურეს შემთხვევაში საერთოდ გამოტოვოთ.

პედაგოგის უკავალ-გენერაცია

გოგონები და ბიჭუნები შეგიძლიათ ერთად დასხათ ჯგუფში. მთავარია ჯგუფში, სულ მცირე, ორი გოგონა და ორი ბიჭუნა იყოს. დები და ძმები შეგძლებისდაგვარად გაანაწილეთ მათთვის შესაფერის ასაკობრივ ჯგუფებში.

ჯეფის
სიღილა

ჯგუფი შედგება არა უძებეს 8 ბავშვიგსან, რომელსაც ორი თერა-
პეტი ხელმძღვანელობს.

სოუეთურუ-
ლი მიზანებ

თერაპიის ჯგუფი სტრუქტურულად ჩამოყალიბებული წესებით
ხელმძღვანელობს. თითოეული სესია მკაცრად განსაზღვრული
პროგრამის მიხედვით უნდა წარიმართოს, ყოველთვის ერთი და
იგივე შემადგენლობით ჩატარდეს და ერთსა და იმავე დროს დაი-
წყოს. სესიების რაოდენობაც წინასწარ უნდა იყოს დათქმული.

გახსოვდეთ, რომ ჯგუფში შემავალი ბავშვები წლების მანძილ-
ზე სახიფათო და არამდგრად გარემოში იზრდებოდნენ. მუდმივი
კონფლიქტი, გადასახლება, გაურკვეველი მომავალი და ყოველივე
ამის შესაბამისი ემოციები ცხოვრების არასაიმედობის გრძნო-
ბას უნერგავს მათ. და თუნდაც რომ ეს ყველაფერი წარსულს
ჩაბარდა, ბავშვში ჯერ კიდევაა შემორჩენილი შიში, ღელვა და
უნდობლობა. მისი ცხოვრება მოკლებულია კანონზომიერებას.

თერაპიისას ბავშვმა შეიძლება დომინანტური საქციელი გამოავ-
ლინოს, რაც მიგვანიშებს მის სწრაფვას საიმედო და პროგ-
ნოზირებადი გარემოსადმი. ასეთი საქციელი ბავშვის ყურადღე-
ბას და ენერგიას შთანთქავს და მნიშვნელოვნად აფერხებს
თერაპიის პროცესს. ამიტომ, თქვენ როგორც თერაპევტმა პირვე-
ლივე სესიაზე ხაზი უნდა გაუსვათ და შთაგონიოთ ბავშვებს ის,
რომ თერაპიის მსვლელობისას ყველაფერი წყდება თერაპევტების
და არა ბავშვების მიერ.

თერაპიის
პრობლემა

ბავშვების თერაპია მშობლების თერაპიის პარალელურად ტარ-
დება. ის, რაც ბავშვების ჯგუფში განიხილება, მეორდება მშო-
ბლების შეკრებაზეც. თერაპია ყურადღებას ამახვილებს ოჯახურ
ძალადობასთან დაკავშირებულ ყველა თემაზე: დანაშაულის
გრძნობა, ბრაზი, ცვლილებები, „უსაფრთხოების გეგმა”, ზრუნვა
და ა.შ. თითოეული სესიის პროგრამა ერთი ცალკეული თემის
ირგვლივ ტრიალებს. თემათა თანამიმდევრობა მრავალი წლის
გამოცდილებაზე დაყრდნობით იქნა შემუშავებული და გირჩევთ,
დაიცვათ ის. თუმცა, ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, შე-
გიძლიათ თანამიმდევრობა შეცვალოთ. ჩვენ ასევე გთავაზობთ
თითოეული სავარჯიშოს სხვადასხვა ვარიანტს. თქვენ შეგიძლი-
ათ თავად შეარჩიოთ ის ვარიანტი, რომელიც საუკეთესო იქნება
თქვენთვის და ბავშვებისათვის ჯგუფში.

მოცემული მეთოდიკა გამიზნულია ოჯახური ძალადობის შედე-
გად ტრავმირებულ ბავშვებზე. ამიტომ თითოეული განსახილვე-
ლი თემა და სავარჯიშო მიმართული უნდა იყოს პოსტტრავმა-

ტული სტრესის კონკრეტულ სიმპტომებზე, როგორიცაა ხელახლა განცდა, ბრაზი (როგორც თავდაცვის ფორმა), თავის არიდება და მეტისმეტი სიფრთხილე.

ვისთვისაქ თუ- რკიდა შესას- ლარული?

მოცემული თერაპიის კურსი განსაზღვრულია ბავშვებისთვის, რომლებმაც ოჯახური ძალადობა განიცადეს, ანუ: ან თავად იყვნენ ძალადობის ობიექტები, ანდა უბრალოდ მოწმენი. მოძალადე სუბიექტი შესაძლებელია იყოს როგორც უშუალოდ ოჯახის წევრი ან ნათესავი, ისე ოჯახის მეგობარი.

თერაპიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვებს, რომლებიც საკუთარ მშობლებთან ცხოვრობენ ან სხვის ოჯახში (ბავშვთა სახლში) იზრდებიან.

არიცინდი

თუ არსებობს მინიშნება და თერაპევტთა კოლეგიაც იმ აზრზეა, რომ ბავშვი ოჯახური ძალადობის გარემოში ცხოვრობს, აუცილებელი არაა, იურიდიულ მტკიცებულებას დაველოდოთ იმისთვის, რომ ბავშვი ჩავრთოთ ჯგუფურ მუშაობაში.

თუმცა, შეუძლებელია ბავშვის თერაპიაზე ჩაწერა, სანამ ძალადობის შემთხვევები, საგარაუდოდ, ჯერ კიდევ გრძელდება. თუ საქმე ძიებაშია და პოლიცია ბავშვის დაკითხვას აპირებს, მაშინ შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ უნდა გადაწყდეს, შესაძლებელია თუ არა თერაპიის დაწყება.

თარაკიის სპეციალი- კოგა

ჯგუფური თერაპია მოიცავს 15 სესიას, რომელიც კვირაში ერთხელ განსაზღვრულ დროს ტარდება. თითოეული სესია გრძელდება საათნახვარი. მშობელთა თერაპია ექვსი სესიით წინ უსწრებს ბავშვთა თერაპიას. სესიები არ ტარდება სასკოლო არდა-დებებისას.

ჩვენება და უკან-ჩვენება

ბავშვი უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- თავს თავისუფლად გრძნობდეს შეზღუდულ გარემოში;
- არ წარმოადგენდეს საფრთხეს დანარჩენი ბავშვებისთვის;
- ფლობდეს ენობრივ უნარებს;
- ფლობდეს დამაკმაყოფილებელ შემეცნებით უნარებს.

სახეზე არ უნდა იყოს:

- სერიოზული ფსიქოპათოლოგია;
- სერიოზული ქცევითი დარღვევა;

თერაპიის მიზანი

თერაპიის მიზანია, დავუხმაროთ ბავშვს ტრავმული მოვლენების „მონელებაში“. საამისოდ კი ბავშვს უნდა:

- შევუმციროთ ისეთი ჩივილები, როგორიცაა დამის კოშმარები, თავის არიდებისადმი მიღრექილება, შიში, დანაშაულის გრძნობა;
- გავუნებიტრალოთ ტრავმის დამთრგუნავი ეფექტი;
- აღვუდგინოთ ბავშვური ნდობა საკუთარი თავის, გარე სამყაროს და სხვების (როგორც უფროსების, ისე სხვა ბავშვების) მიმართ;
- აღვუდგინოთ ბავშვური სურვილი თამაშისადმი;
- აღვუდგინოთ სურვილი, რომ ხალისით შევიდეს სოციალურ ურთიერთობებში;
- დავეხმაროთ “გაიაზროს”, რაც შეემთხვა;
- გასწავლოთ აზრების, სიტყვებისა და ჟესტიკულაციის მოხედვით გრძნობების ამოცნობა.

სპეც თერა- პიის დაინუებ- ავი

სანამ ჯგუფურ თერაპიას შეუდგებოდეთ, აუცილებლად გადაიკითხეთ და შეისწავლეთ წინამდებარე სახლემდღვანელო და საგარჯიშოთა კრებული.

თერაპიის დასრულების შედეგი

თერაპიის დასრულებისას ტარდება ევალუაცია. ბავშვთა უმრავლესობისთვის მოცემული თერაპია საკმარისი უნდა იყოს რეაბილიტაციისთვის. თუმცა შესაძლებელია აღმოჩნდეს ერთი-ორი ბავშვი, რომელსაც შემდგომ ინდივიდუალურ თერაპიაზე გაიდასვლა დაჭირდება. დასაშვებია იგივე თერაპიის ხელახლა განმეორებაც.

თერაპიაუსები

თერაპიას ორი თერაპევტი უძღვება, სასურველია ერთი მამრობითი და მეორე მდედრობითი სქესის იყოს. ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს გამოცდილი ფსიქოთერაპევტი, რომელსაც უმუშავია ჯგუფებთან. მეორე შეიძლება იყოს სტაჟიორი ან დამწევები ფსიქოლოგი. ორივე ფსიქოლოგს წაკითხული უნდა ჰქონდეს ლიტერატურა ოჯახურ ძალადობაზე და მისი შედგების რეაბილიტაციაზე.

სტაჟიორი ან დამწევები ფსიქოლოგი ბევრ რამეში დაგეხმარებათ: მას შეგიძლიათ დაავალოთ სესიების ვიდეოგადაღება, მასალების მომზადება და ალაგება, თერაპიის ანგარიშის შედგენა და ა.შ. გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას მას შეუძლია დროებით მთავარი თერაპევტიც შეცვალოს.

სისივის სრულურა

სესიის დაწყებამდე გაამზადეთ საგარჯიშო ფურცლები, დააწყეთ ხილის წვენი, ბუტერბროდები. პირველივე სესიაზე მიუჩინეთ ბავშვებს ადგილი მერხებთან (ან ხალიჩაზე, წრეში ფეხმორთხე-მული) და თხოვეთ, რომ ყველამ თავისი ადგილი დაიმახსოვროს. თავიდან, ცხადია, თერაპევტები და ბავშვები ერთმენთს უნდა გაეცნონ. მეორე სესიიდან კი ყოველი შეხვედრა იწყება საგარჯი-შო ფურცლების შევსებით, რომელსაც ეწოდება “დღეს როგორ გრძნობ თავს?”

ჩვენს სახელმძღვანელოში თითოეული სესიის თემა თანმიმდევრულად ვითარდება. თუმცა თანმიმდევრობა შეგიძლიათ საჭიროები-სამებრ შეცვალოთ. მთავარია, საწყისი და ბოლო ფაზები შეინ-არჩენოთ.

მე-5, მე-6 და მე-7 სესიის გამოკლებით, ყველა შეხვედრა სრულდება ბავშვებისა და მშობლების ჯგუფების გაერთიანებით – სესიის დასასრულს მშობელთა თერაპევტს ბავშვების ოთახში შემოყავს მშობლები. ამ დროს განიხილება მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი საკითხები – ოჯახური ძალადობის დროს ხომ სწორედ ეს სფერო ხდება ყველაზე პრობ-ლემატური! (მათთვის, ვინც მიმღებ ოჯახში ან ბავშვთა სახლში იზრდება, ეს ნაწილი შესაბამისად შეცვლილი შინაარსით წარიმართება.)

სახელმძღვანელოში დახრილი შრიფტით წერია ფრაზები, რომ-ლებიც თერაპევტმა უნდა გადასცეს ბავშვებს. თუმცა სათქმელი, ცხადია, საკუთარი სიტყვებითაც შეგიძლიათ გადმოსცეთ, მთა-ვარია, ბავშვისთვის ის გასაგებ ენაზე იყოს.

აცივითვის ცარალი

განტვირთვის ვარჯიში პირველ რიგში მშვენიერი საშუალებაა იმისთვის, რომ დავაკვირდეთ ბავშვის მოტორული განვითარების დონეს, სოციალურ უნარებს და წესებისადმი მორჩილებას. გარდა ამისა, ეს ვარჯიში თანატოლებისგან დაჩაგრულ ბავშვებს უს-აფრთხო გარემოში თამაშისა და დადგბითი ემოციების განცდის საშუალებას აძლევს. ბავშვების ხასიათიდან, ჯგუფის დინამიკი-დან და განსახილველი თემის სიმძიმიდან გამომდინარე, სესიის მსვლელობა შეგიძლიათ ორჯერ ან მეტჯერ შევწყვიტოთ გან-ტვირთვის ვარჯიშის ჩასატარებლად. კონფლიქტზე და ძალადო-ბაზე საუბარი ბავშვებში დაძაბულობას და უნებლივ მოტორულ მოძრაობებს იწვევს, ამის გამო მათ განტვირთვა სჭირდებათ. მოცემული ვარჯიში უარყოფითი ენერგიის დაცლას უზრუნვე-ლყოფს. ბავშვებისა და მშობლების ჯგუფების გაერთიანებისას განტვირთვის ვარჯიშის შესრულება მშობლებსაც ევალებათ,

რათა ბავშვებმა მშობლებთან ერთად ხალისიან გარემოში დადებითი ემოციები განიცადონ.

სპეციალური არაგულის დაციულებები

სავარჯიშოთა კრებული ცალკეული, აუკინძავი ფურცლების-გან შედგება. გამოყავით თითოეულ ბავშვისთვის ცალკე საქა-დალდე, რომლებშიც სავარჯიშოთა კრებულის ფურცლებს შეინახავთ. საქალალდე თერაპიის დასრულებამდე თქვენს დაწესებულებაში რჩება. სახელმძღვანელოში მითითებულია, რა დროს რომელი ფურცელი უნდა დაარიგოთ და როგორ წარმართოთ სავარჯიშო.

საჭირო ცივიაზი

თერაპიის მსვლელობისას დაგჭირდებათ ბლომად ფანქრები და ფლომასტერები (სასურველია ფერთა დიდი არჩევანი). აუცილებლად იქონიეთ ფანქრის სათლელებიც. წიგნის ბოლოში ყველა საჭირო ნივთია ჩამოთვლილი. თუ სესიების ვიდეოგადადებას აპირებთ, მიეცით გარანტია მშობლებს და ბავშვებს, რომ ვიდეოჩანაწერს კონფიდენციალური ხასიათი ექნება.

თარაპია ჰომილიასთან

ბავშვთა თერაპია გაცილებით ეფექტურია, თუ მშობლებიც მონაწილეობას მიიღებენ შესაბამის ჯგუფურ თერაპიაში. ეს არ ეხება მშობლებს, რომლებმაც თავად ჩაიდინეს ძალადობა (გამონაკლისი დასაშვებია, თუ მოძალადე მშობელმა წარმატებით გაიარა სათანადო თერაპია). თერაპია მშობლებს ასწავლის, როგორ შეუწყონ შვილს ხელი ტრაგმის მოშუშებაში. კვლევებმა და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბავშვი უკეთ ექვემდებარება თერაპიას, თუ მშობლებიც გადიან შესაბამის თერაპიას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ “სავარჯიშოთა კრებული მშობლებისთვის, რომელთა შვილებმა ოჯახური ძალადობა განიცადეს” და შესაბამისი “თერაპევტის სახელმძღვანელო” (ვისერი, ლეუგენბურგი და ლამერს-ვინკელმანი, 2006 წ.).

1-ლი სესია. შესქვები

1-ლი ფაზა: გაცნობა

წინასწარ გამზიადეთ საგარჯიშო ფურცლები, დააწყეთ ხილის წვენი, ბუტერბრო-დები ან ტკბილეული. მიუჩინეთ ბავშვებს ადგილი მერხებთან (ან ხალიჩაზე, წრეში ფეხმორთხმული) და თხოვეთ, რომ ყველამ თავისი ადგილი დაიმახსოვროს. ამის შემდეგ თერაპევტები და ბავშვები რიგრიგობით გააცნობენ თავს დანარჩენებს.

წარუდგინეთ ბავშვებს ვიდეოგადამდებიც და უთხარით, რომ ბოლო სესიაზე ისინი მშობლებთან და მათ თერაპევტებთან ერთად ნახავენ ვიდეოჩანაწერის ნაწყვეტებს. რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგ და სასიამოვნო მომენტებს.

მუ-2 ფაზა: სახელების დამახსოვრების თამაში

არსებობს მრავალი თამაში სახელების დამახსოვრების გასაადვილებლად. ქვემოთ მოცემულია სამი ვარიანტი. სასურველი თამაში თავად აირჩიეთ.

1. დამახსოვრება

ათქმევინეთ ბავშვებს თავიანთი სახელები. შემდეგ რიგრიგობით თხოვეთ, რომ თითოეულმა დაასახელოს მის მარცხნივ მჯდომი ბავშვის სახელი. ბოლოს იკითხოთ, ვინ დაიმახსოვრა ყველაზე მეტი სახელი.

2. პასი

ბავშვები ერთმანეთს აწვდიან ბურთს, იმ პირობით, რომ ჯერ უნდა დაასახელონ, ვის აწვდიან პასს.

3. პამპულობანა

დასხით ბავშვები წრეში ერთმანეთისგან თითო მეტრის დაშორებით. ერთი ბავშვი (“პამპულა”) დააყენეთ ცენტრში. მისი დაგალება იქნება მიირბინოს რომელიმე ბავშვთან და ხელი დაადოს. ამ უკანასკნელმა, სანამ ხელს დაადებდნენ, რომელიმე სხვა ბავშვის სახელი უნდა წამოიყენოს და თითოთ დაანახოს “პამპულას”. თუ დაიგვიანა ან შეცდომით თქვა სახელი, თავად ხდება “პამპულა”.

მუ-3 ფაზა: რა არის საგარჯიშოთა ქრებული

იკითხეთ, იციან თუ არა ბავშვებმა, რისთვის არიან ჯგუფურ თერაპიაზე. თუ აღმოჩნდა, რომ არ იციან, იკითხეთ, რა არის “კონფლიქტი”, “ძალადობა” და ა.შ. მოკლე გამოკითხვის შემდეგ ჩამოურიგეთ №1.1 საგარჯიშო ფურცლები. ხმამაღლა ჩაიკითხეთ, რაც ფურცელზე წერია და შეავსებინეთ ბავშვებს გამოტოვებული ადგილები. წაეხმარეთ მათ, ვინც ჯერ წერა არ იცის.

უურცელი 1.1

ძვირფასო

ეს წიგნი შენ გეძღვნება. ის დაიწერა შენაირი ბავშვებისთვის, რომლებმაც შინ კონფლიქტი და ძალადობა განიცადეს. ყოველ შეკრებაზე ჩვენ ახალ-ახალ თემებზე ვისაუბრებთ. თერაპიის დასრულებამდე წიგნი ჩვენს სამუშაო ოთახში დარჩება. შემდეგ, თუ მოისურვებ, შეგიძლია შინ წაიღო.

აჩვენეთ ბავშვებს ინდივიდუალური საქალალდები, რომლებშიც მათი საგარჯიშო ფურცლები იქნება დაცული.

მე-4 ფაზა: რა არის თერაპია

ბავშვებთან ერთად ჩაიკითხეთ №1.2 და 1.3 საგარჯიშო ფურცლები და შეაგსებინეთ გამოტოვებული ადგილები.

უურცელი 1.2

რა არის თერაპია?

თქვენ ახლა იმყოფებითის საკლასო ოთახში. აქ ჩაგიტარდებათ თერაპია. ხომ უცხო სიტყვაა “თერაპია”? იცით, რას ნიშნავს?

თერაპია ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყველა ერთად დავსხდებით და ვილაპარა-კებთ, ვიმეცადინებთ, ვითამაშებთ, დავხატავთ და კიდევ ბევრ სხვა საინ-ტერებო რამეს გავაკეთებთ. ოდონდ არა უაზროდ.

ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ თქვენ თავს ცუდი რამ გადაგხდათ, ვიდაცამ გული გატკინათ და შეგაშინათ. და ახლა ვედარ ივიწყებთ ამას. ამის გამო ზოგჯერ მუცლის ტკივილი გქრებათ, ზოგჯერ თავის ტკივილი. ზოგჯერ ალბათ ადვილად ბრაზდებით. გეშინიათ, რომ კიდევ არ განმეორდეს ეს. დამდამობით ცუდ სიზმრებსაც ხედავთ.

თერაპიის დროს გასწავლით, როგორ დაივიწყოთ ცუდი ამბები. გასწავლით, როგორ დაიბრუნოთ ხალისი და ბედნიერება და როგორ დათრგუნოთ შიში. გასწავლით ჩვენ, თერაპევტები.

ააა, კიდევ ერთი უცხო სიტყვა. ჩვენი სახელებია და
..... . ჩაიწერეთ.

ჩვენთან ივლით ყოველ დღეს, ----- საათიდან
..... საათამდე. ჩვენ ყოველთვის აქ ვიქნებით. მაგრამ თუ ერთ-ერთი
ჩვენგანი ავად გახდა, ან კბილის ექიმთან გაიქცა, მაშინ შემცვლელი იქნე-
ბა – ისიც ჩვენსავით თერაპევტია. მისი სახელიც ჩაიწერეთ.

ურცელი 1.3

რა საჭიროა თერაპიაზე სიარული?

აქ ყველა ბავშვი ერთი და იგივე მიზეზის გამოა მოსული: თქვენს სახლში
კონფლიქტი და ძალადობა ხდებოდა. თანაც არა ერთხელ, არამედ გამუდ-
მებით.

კონფლიქტი და ძალადობაა, როცა ადამიანები ერთმანეთს ჩაგრავენ და
აშინებენ. მაგალითად, ერთმანეთს ცემენ, ურტყამენ, უყვირიან, რაღაცეებს
ესვრიან, ნივთებს ამტკრევენ, იარაღით ემუქრებიან, ლანძლავენ, აგინებენ და
ცუდ რაღაცეებს უშვებიან. ისიც ცუდია, როცა ადამიანს არ ელაპარაკები,
პასუხს არ ცემ და ისე იქცევი, თითქოს ის არ არსებობს.

და ვინ ჩადის ამ ყველაფერს? ეს შეიძლება იყოს მამიკო, დედიკო, ბებია,
ბაბუა, მამიკოს ან დედიკოს მეგობრები, ძამიკო, დაიკო, ბიძია, დეიდა, მამიდა
ან შენ თვითონ.

ახლა ალბათ გაიფიქრებთ, საიდან იცის ამ სალხმა ესო.

საიდან ვიცით და თქვენმა მშობლებმა და თქვენმა ჯგუფის ხელმძღ-
ვანელებმა გვიამბეს. და მათივე თხოვნით ჩაგწერეთ ჩვენთან თერაპიაზე.
ესაა და ეს.

მე-5 ფაზა: თერაპიის წესები

დაარიგეთ №1.4 და 1.5 სავარჯიშო ფურცლები და სათითაოდ გაიარეთ ყველა წესი.
შეგიძლიათ ჯერ წინასწარ გამოიყითხოთ, თავად ბავშვები რა წესებს შემოგთავაზებენ
და დიდ ფურცელზე ან მუქაოს ნაჭერზე ჩამოწეროთ ისინი. თუ რომელიმე აუცილე-
ბელი წესი გამორჩათ, თავად ახსენეთ და მიაწერეთ.

უურცელი 1.4

თერაპიის წესები

თერაპია სკოლა არაა. აქ არ მიიღებთ ნიშნებს და არც საკონტროლო ტესტებს დაგიწერინებთ. აქ არ გავარჩევთ, რაა შეცდომა და რაა სწორი. მაგრამ არსებობს გარკვეული წესები. ისევე, როგორც ფეხბურთში, კომპიუტერულ თამაშებში ან ქუჩაში მოძრაობისას.

თერაპიაზე შემდეგი წესები მოქმედებს:

1. არავინ არავის არ სჯის, მათ შორის არც საკუთარ თავს;
2. ერთმანეთს ლაპარაკს ვაცლით;
3. ლაპარაკი ნებადართულია, თუმცა ყოველთვის არაა სავალდებულო;
4. ერთმანეთს არ დავცინით;
5. სხვებს არ ვუყვებით, რასაც ერთმანეთზე შევიტყობთ. არც სხვა არ მოყვება არავისთან, რასაც შენზე შეიტყობს. არავისთან!

უურცელი 1.5

მე-5 წესის განმარტება

სხვებს არ ვუყვებით, რასაც ერთმანეთზე შევიტყობთ. არც სხვა არ მოყვება არავისთან, რასაც შენზე შეიტყობს. არავისთან!

ეს ყველაზე მთავარი და ძნელი წესია! თუ გსურს, შეგიძლია ვინმეს, ვისაც ძალიან ენდობი, უამბო, რას აკეთებ შენ თერაპიაზე, რას ხატავ, რას ამბობ ან რა სახის თამაშებში იღებ მონაწილეობას. რა მოგწონს და რა არ მოგწონს. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე! სხვა ბავშვებიც მარტო საკუთარ თავზე უამბობენ თავიანთ გულის მესაიდუმლეს. ჩათვალე ეს საიდუმლოდ, კეთილ საიდუმლოდ.

მაშ ასე: დედას, მამას ან ჯგუფის ხელმძღვანელს შეგიძლია უამბო შენს შესახებ. მაგრამ არა სხვა ბავშვის შესახებ. არც სხვა ბავშვი უამბობს ვინმეს შენს შესახებ.

მე-6 ფაზა: სანამ მშობლები შემოვლენ

აუსესენით ბავშვებს, რომ ყოველი სესიის დასასრულს (გარდა მე-5, მე-6 და მე-7 სესიებისა) მათ შემოუერთდებიან მშობლები თავიანთ თერაპევტებთან ერთად. ამ დროს ყველაზე საკუთარი დედის ან მამის გვერდით უნდა დაიკავოს ადგილი და თქვენთან

ერთად უამბოს, რა გააკეთეს სესიაზე. ამას მოყვება ესა თუ ის საგარჯიშო ან თამაში, რომელსაც თითოეული ბავშვი თავის მშობელთან ერთად შეასრულებს.

პუ7 ფაზა: მშობელებთან ერთად

ბავშვები თქვენთან ერთად უყვებიან მშობელებს, რა გააკეთეს სესიაზე. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ განიხილავთ ბავშვთა ჯგუფის წესებს. დაასრულეთ სესია განტვირთვის გარჯიშით.

ექ-2 სასიპ. ერთეანეოთის უკათ მაცნობა

1-ლი ფაზა: რა არის გამსსნელი სავარჯიშო ფურცელი
დასხიოთ ბავშვები თავიანთ ადგილებზე და შესთავაზეთ ხილის წვენი და ტებილეული. განმარტეთ, რომ ამის შემდეგ ყოველი სესიის დასაწყისში ბავშვებს შესავსებად დაურიგდებათ გამსსნელი სავარჯიშო ფურცლები, სათაურად: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” აუხსენიოთ, რომ როცა ბავშვი ისეთი მძიმე მოვლენების ცენტრშია, როგორიცაა კონფლიქტი და ძალადობა, მისი გრძნობები არ ეულია და ის ვედარ ხვდება, რას გრძნობს. ამ სავარჯიშოს დანიშნულება სწორედ ისაა, რომ პატარებმა ისწავლონ თავიანთი გრძნობების ამოცნობა და სახელდება.

ფურცლის შევსების შემდეგ ბავშვები რიგრიგობით ყვებიან, რატომ გრძნობენ თავს ასე თუ ისე. ეს, გარდა იმისა, რომ მათთვის სესიის დაწყების ნიშანია, საინტერესოა თქვენთვისაც, რადგან ინფორმაციას იღებთ თითოეული ბავშვის განწყობის შესახებ. ამ ფურცლებზე ზოგჯერ ნახატების ქვემოთ სესიის თემის მოკლე შესავალია მოცემული (იხ. მაგალითად, №7.0 სავარჯიშო ფურცელი).

ურცელი 2.0


დღეს როგორ გრძნობ თავს?

მაშ ასე, ესაა თერაპიის მე დღე.

დღეს როგორ გრძნობ თავს?

გიხარია, გაბრაზებული ხარ, გეშინია თუ სევდა გაწუხებს?

ქვემოთ მონიშნე ნახატი, რომელიც შენს განწყობას შეეფერება.



მე-2 ფაზა: ვის რა უყვარს?

აიღეთ სამი თაბახის ფურცელი და დააწერეთ ცალ-ცალკე “კი”, “არა” და “?” (ან “არ ვიცი”). მიეცით ფურცლებს სამკუთხედის ფორმა და დააწერეთ ოთახში სხვადასხვა აღგილას, ერთმანეთისგან მოშორებით. თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ თერაპევტები და შემდეგ ბავშვები რიგრიგობით ასახელებენ სხვადასხვა თამაშს, საჭ-მელს, სპორტს – მაგალითად, “მე მიყვარს კომბოსტო” – ხოლო დანარჩენები (მათ შორის თერაპევტებიც) გარდიან და ჯგუფდებიან იმ პასუხთან, რომელიც მათ აწყობთ. დროდადრო დასაშვებია მოკლე კითხვა-პასუხიც.

მე-3 ფაზა: კითხვები კონფლიქტსა და ძალადობაზე

წაიკითხეთ და შეავსებინეთ ბავშვებს №2.1 საგარჯიშო ფურცელი. განიხილეთ პა-სუხები.

ურცელი 2.1

კონფლიქტი და ძალადობა: ვინ და სად?

ვის შორისაა კონფლიქტი თქვენს ოჯახში?

ვინ მიმართავს ძალადობას თქვენს ოჯახში?

ზოგი ბავშვი კონფლიქტს და ძალადობას საკუთარ ოჯახში ხედავს, ზოგიც – ოჯახს გარეთ: ქუჩაში, ავტობუსში, ან სხვის ოჯახში.

შენ სად გახდი კონფლიქტის და ძალადობის მოწმე?

მე-4 ფაზა: ოჯახში კონფლიქტისა და ძალადობის მაგალითები

დადეთ იატაკზე დიდი (მაგ., 2) ფორმატის ფურცელი და დასხით ბავშვები მის გარშე-მო. დაიწყეთ შეა ფურცელზე ასო-ასო წერა: ჯერ “კონფლიქტი”, შემდეგ “ძალადობა” და თხოვეთ ბავშვებს გამოიცნონ, რა სიტყვას წერთ. თხოვეთ შემდეგ, მოიყვანონ ოჯახური კონფლიქტისა და ძალადობის მაგალითები. ნებისმიერი რამ, რაც სურთ. დაიმახსოვრეთ (ან ჩაინიშნეთ), ვინ რა მაგალითს დაასახელებს. საჭიროების შემთხვევაში დააკონკრეტებინეთ ნათქვამი. მაგალითად, თუ ითქვა “ლანძღავდა”, იკითხეთ: “რა სიტყვებით ლანძღავდა?” ან თუ “დაარტყა” – “სად დაარტყა?”, “რითი დაარტყა?” გაარკვიეთ აგრეთვე, ბავშვი თავად შეესწრო მომხდარს, თუ მოესმა. ხშირად მაგალითები ერთი და იგივე ტიპის, გავრცელებული კონფლიქტების ირგვლივ ტრიალებს, ამიტომ შეასხენეთ ბავშვებს ძალადობის სხვა სპეციფიური ფორმებიც: ფსიქოლოგიური ძალადობა, მუქარა, ბავშვის ცემა და ა.შ.

თუ შეატყობოთ, რომ ბავშვებს ყურადღება ეფანტებათ, დაურიგეთ ფლომასტერები და დაახატინეთ ყველას ერთად იმავე ფურცელზე კონფლიქტის მაგალითები. ერთ-ერთ-

მა თერაპევტმა უნდა ჩაინიშნოს, კინ რას ხატავს. დახატვის ნაცვლად შეგიძლიათ დააწერინოთ კიდევ.

სესიის დასრულების შემდეგ თავად ავსებთ №2.2 საგარჯიშო ფურცლებს. “შოთელი ჯგუფის მაგალითებში” ჩამოწერთ ოჯახური კონფლიქტისა და ძალადობის ხუთოდე ზოგად მაგალითს (ცემა, დარტყმა, მუქარა). მის ქვემოთ კი, მოცემული ბავშვის მიერ მოყვანილ მაგალითს (მაგალითებს).

ვურცელი 2.2

რა არის ოჯახური კონფლიქტი და ძალადობა?

დღეს ყველამ ერთად ჩამოვწერეთ ოჯახში კონფლიქტისა და ძალადობის მაგალითები: რაც კი გვინახავს, გვსმენია და თავს გადაგვხდენია.

ასეთი იყო შოთელი ჯგუფის მაგალითები:

.....
.....
.....

ასეთი იყო თავად შენი მაგალითები:

.....
.....

მე-5 ფაზა: ოჯახის წევრები

№2.3 საგარჯიშო ფურცლებზე დაახატინეთ ბავშვებს ოჯახის წევრები. თუ რომელიმე გამოტოვებს დედას ან მამას, იკითხეთ: “უმეტეს ბავშვებს ყავთ დედა და მამა. შენ არა?” ან: “და ახლა სად ცხოვრობს ის?” გამოიკითხეთ, რა ურთიერთდამოკიდებულება იყო ბავშვსა და ოჯახიდან წასულ მშობელს შორის ადრე, რა ურთიერთობა აქვთ ახლა.

ვურცელი 2.3

დახატე შენი ოჯახის წევრები.

გე-6 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები თქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. ამის შემდეგ თითოეული ბავშვი დედასთან თუ მამასთან ერთად “ბუდეს” აშენებს, რომელსაც თერაპიის მსვლელობისას “უსაფრთხო ადგილის” დატვირთვა უქნება. საშენი მასალა, დაქ, თავად აირჩიონ: კუბები, პლუშის სათამაშოები, პლედები, ბალიშები და სხვა.

აშენებას რომ მორჩებიან, თხოვეთ, ყველა თავის აშენებულ “ბუდეში” ჩაჯდეს. დაურიგეთ №2.4 სავარჯიშო ფურცლები და დაავალეთ მშობლებს შვილებთან ერთად წაიკითხონ და შეავსონ ის.

გადაუღით ფოტოები.

ფურცელი 2.3

ბუდე I

შენ და შენმა [დედიკომ/მამიკომ] ბუდე ააშენეთ. ეს ის ადგილია, სადაც შენ არაფერი დაგემუქრება. სადაც მშვიდად იჯდები და ვერაფერი შეგაშინებს. შემდეგ მოსვლაზე გაჩვენებთ ფოტოს, თუ რა ლამაზი ბუდე აგიშენებია!

ფოტო

ახლა კი გვიამბე, რატომაა ეს ადგილი უსაფრთხო?

.....
.....
.....

ექ-ვ სასიპ. ბრძოლები

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№3.0 სავარჯიშო ფურცელი).

მე-2 ფაზა: გრძნობების გამოხატვა

არსებობს მრავალი თამაში გრძნობების გამოხატვის გასაადვილებლად. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ვარიანტი. სასურველი თამაში (თამაშები) თავად აირჩიეთ.

1. გრძნობების გამოხატვა ჟესტიკულაციით

“ჩვენ დაგათვალიერეთ ნახატები, რომლებიც გადმოსცემენ გახსარებულ, გაბრაზებულ, შეშინებულ და სევდიან სახეებს. როგორ უნდა მიხვდე, რომ ადამიანი, მაგალითად, გაბრაზებულია? (თხოვეთ ერთ-ერთ ბავშვს, განასახიეროს სიბრაზე.) კარგი, ახლა ყველამ ერთად. წარმოიდგინეთ, რომ ძალიან გაჯავრდით. ძალიან, უსაშეელოდ გაჯავრდით. გაიარეთ გაბრაზებული სახით. გაიარეთ საითაც გსურთ, მთავარია გამოხატოთ, რომ ძალიან გაბრაზებული სართ.”

წააქეზეთ “გაბრაზებული ბავშვები” შემდეგი სიტყვებით:

“ვაიმე, ისეთი ბრაზიანი სახეები გაქვთ და ისე აბაკუნებთ ფეხებს, რომ ცოტა არ იყოს შეგვეშინდა!” (მიიღეთ შეშინებული სახე)

ცხადია, ისე არ უნდა “შეშინდეთ”, რომ დაიჯერონ. ყურადღებით იყავით, რომ ბავშვების მოჩვენებითი ბრაზი ნამდგილში არ გადაიზარდოს. დაზღვევის მიზნით, შეგიძლიათ თერაპევტებმა როლები გაინაწილოთ: ერთ-ერთმა შიში გამოხატოს, ხოლო მეორემ ნეიტრალური სახით გადმოსცეს, რომ სულაც არ ეშინია, ვინაიდან ეს მხოლოდ თამაშია. რაც მთავარია, დროულად შეაჩერეთ თამაში და გადადით შემდეგ გრძნობაზე, მაგალითად, სიხარულზე. ახლა გახსარებული სახით ატარეთ ბავშვები...

“დაგვრჩა კიდევ ორი გრძნობა. მიიღეთ შეშინებული სახე და დაიწყეთ შეშინებული სიარული... ვაიმე, რა ყველა შეშინებული დადის! თუმცა ჩვენ არაფრის არ გვეშინია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, არაფერია საშიში და სახიფათო. აბა, ახლა ყველამ კარგ რამეზე იფიქრეთ და გახსარებული სახე მიიღეთ!”

და ბავშვები ისევ გახსარებული სახით იწყებენ სიარულს.

“ბოლო გრძნობაა სევდა. ახლა გაირეთ სევდიანი სახეებით. აი ასე, კარგია! საკმარისია სევდიანი სიარული. ახლა ისევ გავჭირულდეთ.”

2. გრძნობების გამოხატვა მუსიკაზე აყოლით

დაგჭირდებათ: სივრცე და სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური ნომრები. მუსიკა შეგიძლიათ თავად შეარჩიოთ ან მუსიკათმცოდნის რჩევას მიმართოთ. აქვე გთავაზობთ ჩვენს რეპერტუარს.

საუკეთესო ვარიანტია სერგეი პროკოფიევის “პეტია და მგელი”, რომელშიც ყველა გრძნობაა გადმოცემული. გირჩევთ შემდეგ ნამუშევრებსაც:

სიხარული	ა. ვივალდის “წელიწადის ოთხი დრო”, “გაზაფხული”;
შოში	ი. სტრავინსკის “Le sacre du printemps”, მეორე ნაწილის (“Le sacrifice”) შესავალი;
სევდა	ი. სიბელიუსის “Valse Triste”;
ბრაზი	ბ. სმეტანას “Moldau”, “ჭაქა-ჭუხილი”.

ცხადია, პოპულარული საბავშვო სიმღერებიც გამოდგება, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ამგვარ სიმღერებში პირდაპირი საუბარია გრძნობებზე, რაც ბავშვებს ფანტაზიის ამუშავების საშუალებას არ აძლევს.

დაიწყეთ თამაში შემდეგნაირად:

“ჩვენ დავათვალიერეთ ნახატები, რომლებიც გადმოსცემენ გახარებულ, გაბრაზებულ, შეშინებულ და სევდიან სახეებს. (ან: ჩვენ გავიარეთ გახარებული, გაბრაზებული, შეშინებული და სევდიანი სახეებით.) თუ იცით, რომ მუსიკითაც გამოიხატება ეს გრძნობები? ქარგი, ახლა მოვუსმენთ მუსიკას, თქვენ კი ისე უნდა გაიაროთ, რა გრძნობასაც მუსიკაში ამოიკითხავთ. თუ მუსიკა მხიარულია, გაიარეთ გახარებული სახით, თუ აგრესიული – ბრაზიანი სახით და ასე შემდეგ.”

3. მონათხობზე რეაგირება

დაგჭირდებათ: სივრცე და ოთხივე გრძნობის გამომხატველი ფოტობლაგატები. პლაკატები ოთახის კუთხეებში გაანაწილეთ. შემდეგ უამბეთ ბავშვებს რამე ისტორია, რომელიც აღძრავს ჩვენთვის საინტერესო რომელიმე გრძნობას. ბავშვები, რომლებიც შუაგულ ოთახში სხედან, ამა თუ იმ გრძნობის განცდისთანავე შესაბამისი პლაკატისკენ უნდა გაიქცნენ.

ეს სავარჯიშო შეგიძლიათ ორნაირად ჩაატაროთ:

1-ლი ვარიანტი.

გრძნობას პირდაპირ ასახელებთ. მაგალითად, “ჰენკი ძალიან დანაღვლიანდა”, რაზეც ბავშვები სევდის გამომხატველი პლაკატისკენ გარბიან.

მე-2 ვარიანტი.

გრძნობას არ ასახელებთ, არამედ მიანიშნებთ: “ხულიგანმა ბობმა ჰენკის სათამაშოს სელი სტაცა და გაიქცა, რაზეც ჰენკი ძალიან...” – აქ ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რას განიცდიდა ჰენკი, რომელსაც სათამაშო წაართვეს, და შესაბამისი პლაკატისკენ გაიქც-

ნებ. შეიძლება ზოგი სევდის გამომხატველი პლაკატისკენ გაემართოს, ზოგი – ბრაზის. ეს კარგი სავარჯიშოა იმ მიზნით, რომ ბავშვებმა ნახონ, რამდენი გრძობა შეიძლება ადამიანმა განიცადოს ერთსა და იმავე სიტუაციაში.

დაავალეთ, პლაკატებისკენ შესაბამისი ემოციების გამოხატვით გაიქცნენ, მაგალითად, სიხარულისკენ – გახარებული ყიფით, სევდისკენ – დაღონებული სახით და ა.შ. შესთავაზეთ ბავშვებს, თავადაც შეოხება რამე ისტორია.

მე-3 ფაზა: ჩემი გრძნობები კონფლიქტისა და ძალადობის მიმართ
დაარიგეთ №3.1 სავარჯიშო ფურცლები და განმარტეთ მისი შინაარსი. ჩააწერინეთ ბავშვებს, რატომ გრძნობენ განცდილი კონფლიქტისა და ძალადობის გახსენებისას ჯერ კიდევ სიბრაზეს, შიშს თუ სევდას, ან იქნებ სიხარულსაც კი.

ურცელი ვ.1

ჩემი გრძნობები კონფლიქტისა და ძალადობის მიმართ

ბევრი ბავშვი ჯერ კიდევ გრძნობს სიბრაზეს, შიშს თუ სევდას განცდილი კონფლიქტისა და ძალადობის გახსენებისას.

შენ რას გრძნობ ახლა?

სიბრაზეს, იმიტომ რომ:

შიშს, იმიტომ რომ:

სევდას, იმიტომ რომ:

შეიძლება ყოველივე ამის ნაცვლად სიხარულსაც კი გრძნობ?

მე ვგრძნობ სიხარულს, იმიტომ რომ:

მე-4 ფაზა: დახატეთ, რაც უველაზე მეტად გიყვართ

დაარიგეთ №3.2 სავარჯიშო ფურცლები და დაახატინეთ ბავშვებს ის, რაც უველაზე მეტად უყვართ. ნუ ჩაერევით, დაე, თავად გადაწყვიტონ, რას დახატავენ.

გე-5 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები თქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. შემდეგ კიდევ ერთხელ აშენებენ “ბუდეს” და სხდებიან შიგ. აჩვენეთ წინა სესიაზე გადაღებული ფოტოები. დაურიგეთ №3.3 სავარჯიშო ფურცლები და თხოვეთ მშობლებს შვილებთან ერთად წაიკითხონ და შეავსონ ის.

ფურცლი 3.3

ბუდე II

შენ და შენმა [დედიკომ/მამიკომ] ბუდე ააშენეთ. ახლა გვითხარი, გაქვს თუ არა შინ მსგავსი ბუდე? სად?

.....
რატომაა ეს ადგილი უსაფრთხო?

თუ შინ ჯერ კიდევ არ გაქვს ბუდე, რომელ კუთხეში მოისურვებდი მის აშენებას?

.....
რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს ადგილი შენთვის უსაფრთხო იყოს?

საშინაო დაგალებები მშობლებისთვის და ბავშვებისთვის

დავალება ბავშვებს: წამოიყოლონ შემდეგ სესიაზე ის სათამაშო თუ ნივთი, რაც უსაფრთხოების შეგრძნებაში ეხმარებათ.

დავალება მშობლებს: წამოიყოლონ შემდეგ სესიაზე ის სათამაშო თუ ნივთი, რაც მათ შვილებს უსაფრთხოების შეგრძნებაში ეხმარებათ.

თუ ეს შინაური ცხოველია, ავეჯია ან უბრალოდ ესა თუ ის კუთხეა სახლში, დაე, გადაუდონ ფოტო და ის წამოიდონ.

ექ-კ სისტ. უსაფრთხოება

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№4.0 სავარჯიშო ფურცელი).

მე-2 ფაზა: უსაფრთხო ადგილი

დაგჭირდებათ: სხვადასხვა ზომის და ფერის კენჭები ან ბურთულები, ცარცი, სათამაშო სივრცე.

აირჩიონ ბავშვებმა კენჭები და დაარქვან ოჯახის წევრებისა და ნაცნობების სახელები. დააყენეთ ისინი შორი-შორს და შემოახაზინეთ ცარცის წრე საკუთარი თავის ირგვლივ.

ასესენით: “ესაა თქვენი ადგილი, სადაც ვერავინ შეგეხებათ. ამ წრეში მხოლოდ თქვენ ხართ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ესაა ყველაზე უსაფრთხო და მშვიდი ადგილი. აქ ხელს ვერავინ გახლებთ.

ბავშვები საკუთარ წრეებში დგანან. განაგრძეთ: “თქვენ მრავალ ადამიანს იცნობთ. ზოგი გინდათ, რომ თქვენთან ახლოს იდგეს, ზოგიც ცოტა მოშორებით. ამიტომ შემოვხაზოთ კიდევ ორი წრე. ერთი მათვის, ვინც გინდათ, რომ ახლოს იდგეს და ერთიც მათვის, ვინც ცოტა მოშორებით უნდა იდგეს. გახსოვდეთ, ამ წრეებშიც თქვენ ხართ უფროსი, მხოლოდ თქვენ! და თქვენ უნდა აირჩიოთ, ვის რომელ წრეში დააყენებთ და ვის საერთოდ გარეთ დატოვებთ. ახლა აიდეთ ბურთულები და გადაწყვიტეთ, ვის ჩააყენებთ პირველ წრეში და ვის მეორეში. თუ გინდათ, ნურავის დააყენებთ წრეებში, ესეც თქვენი ნებაა.”

აცალეთ ბავშვებს, განანაწილონ კენჭები წრეებში. იკითხეთ, რომელი კენჭი რომელი ადამიანია და ჩაინიშნეთ. გნებავთ, ფოტოებიც გადაიღეთ და შემდეგ ბავშვების საქადალდების დაურთეთ. ეს სავარჯიშო წარმოდგენას შეგიქმნით, როგორ აღიქვამენ ბავშვები მათ უშუალო გარემოს.

ალტერნატივა: ცარცის წრეების ნაცვლად შეგიძლიათ სხვადასხვა ზომის რგოლები (ჰულაჰუპი) გამოიყენოთ, ხოლო კენჭები შევცალოთ თოჯინებით (ჟბრალო ფიგურებით, სახის გარეშე). ბავშვები ჯერ საკუთარ თოჯინას ირჩევენ, რომელიც ცენტრში დგება.

მე-3 ფაზა: ეს არ იყო ჩემი ბრალი

ბავშვები გიუდებიან შინაურ ცხოველებზე. სამწუხაროდ, კონფლიქტი და ძალადობა ოჯახების დანგრევას იწვევს, რის გამოც ბავშვი შეიძლება საყვარელ ცხოველს დააშორონ. ზოგჯერ კონფლიქტის საგანი სწორედ შინაური ცხოველია და საბრალო ხშირად სისასტიკის მსხვერპლი ხდება. უამბეთ ეს ბავშვებს და შეავსებინეთ №4.1 სავარჯიშო ფურცლები. გადადით შემდეგ მე-4 ფაზაზე.

ფურცელი 4.1

შინაური ცხოველები

შინაური ცხოველები ძალიან ბევრ ბავშვს უყვარს. ალბათ შენც. გვიამბე შენი ცხოველების შესახებ.

რამდენი შინაური ცხოველი გყავს?

რა ცხოველები გყავს?

რა ქვიათ?

ახლა შენს სახლში ცხოვრობენ?

ადრე რა ცხოველები გყავდა?

რა ერქვათ?

რა მოუკიდათ მათ?

მე-4 ფაზა: დახატეთ დამნაშავე ინდივიდუალურად

ერთი ბავშვი იქნება “პამპულა”. მისი დავალებაა მიირბინოს რომელიმე ბავშვთან და სელი დაადოს. ამ უკანასკნელმა, სანამ ხელს დაადებდნენ, რომელიმე შინაური ცხოველის სახელი უნდა წამოიყვიროს. თუ ვერ მოიფიქრა ან უკვე ნათქვამი ცხოველი გაიმეორა, თავად ხდება “პამპულა”.

მე-5 ფაზა: 4.1 საგარჯიშოს განხილვა


რიგირიგობით მოაყოლეთ ბავშვებს საკუთარი შინაური ცხოველების შესახებ.

მე-6 ფაზა: უსაფრთხო აღგილები

დაარიგეთ №4.1 საგარჯიშო ფურცლები და განმარტეთ მისი შინაარსი. ბავშვებმა უნდა მიუთიოონ, სადაა მათთვის უსაფრთხო ადგილი, სად – სახიფათო და სად – ისე რა. განიხილეთ პასუხები. გამოკითხეთ, იციან თუ არა მშობლებმა (მომვლელებმა), სად გრძნობენ მათი შვილები საფრთხეს. ზოგმა მშობელმა ეს არ იცის, ასეთ შემთხვევაში მოელაპარაკეთ ბავშვს, როგორ გაუმსელს ამას მშობლებს. განიხილეთ ეს მშობელთა ჯგუფის ოერაპევტებთანაც.

ვურცელი 4.2

სადაა უსაფრთხო ადგილი?



გააფერადეთ შესაბამისი “სმაილიკები”:

(:())=სახიფათო (:)=ისე რა (:))=უსაფრთხო

შენი ოთახი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შენი სახლი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შენი სახლის კარის წინ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შენი ქუჩა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სათამაშო მოედანი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შენი სკოლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გახანგრძლივებული კლასი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მაღაზია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შენს მშობელთან, რომელიც თქვენთან არ ცხოვრობს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პარკი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სპორტდარბაზი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პოლიცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შენი მობილური ტელეფონი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შენი დედიკოს/მამიკოს ტელეფონი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ახლო ნათესავი: [დაასახელეთ]	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მუ-7 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები თქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. შეახსენეთ, რომ შემდეგი სამი სესიის თქმა იქნება კონფლიქტი და ძალადობა, რის გამოც მშობლების ჯგუფი კი აღარ მოვა შვილებთან, არამედ პირიქით.

გადადით წინა სესიის საშინაო დავალებაზე. წამოიყოლეს თუ არა რამე ნივთი, რაც ბავშვს უსაფრთხოების შეგრძნებაში ეხმარება? შემდეგ კიდევ ერთხელ ააშენებინეთ „ბუდე“, სადაც №4.3 საგარენიშო ფურცლები უნდა შეავსონ.

უურცელი 4.3

რა გეხმარება უსაფრთხოების შეგრძნებაში?

რა ნივთი მოიტანე?

.....
როგორ გეხმარება ეს ნივთი უსაფრთხოების შეგრძნებაში?

.....
რა ნივთი მოიტანა შენმა [დედიქომ/მამიკომ]?

.....
როგორ გეხმარება ეს ნივთი უსაფრთხოების შეგრძნებაში?

၁၂-၅ ၂၁၈၀ပြ.

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წევნით, ტკბილეულით და საგარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№5.0 საგარჯიშო ფურცელი).

მე-2 ფაზა: დახატეთ კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ (1)

დაარიგეთ №5.1 საგარჯოშო ფურცლები და დაახატინეთ ბავშვებს რაც სურთ კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ. ბავშვისთვის ძნელი გადასაწყვეტია, რა დაახატოს, როცა ამდენი ცუდი რამ უნახავს. ამიტომ, დაე, დაიწყონ იმის ხატვით, რაც ყველაზე კარგად ახსოვთ, რაც ყველაზე ხშირად ახსენდებათ. ფურცლები საკმარისად იქონიეთ, იმ შემთხვევისთვის, თუ მეტის დახატვა მოუწდებათ. ჩამოიარეთ და გამოკითხეთ: რას ხატავენ? ვის? რა ხდება ნახატზე? რაზეა ჩეუბი? თავად სადაა ამ დროს? სადაა მისი დაიკო ან ძამიკო? რის გამო დაიწყო კონფლიქტი? როგორ დამთავრდა? თხოვეთ პასუხები სიტყვიერად მიაწერონ ნახატს, ან ცალკე ფურცელზე დაწერონ. დაე, ბავშვმა თავად დაწეროს. თუ წერა უჭირს, სიტყვასიტყვით ჩიაწერეთ, რასაც ბავშვი გიამბობთ. შეიძლება ბავშვებს “ბუღეში” უფრო გაუადვილდეთ ხატვა. ასეთ შემთხვევაში ჯერ “ბუღე” ააშენებინეთ.

თუ ბავშვი ხატვაზე უარს ამბობს, თხოვგეთ დაწეროს. თუ წერა არ შეეძლია, ხიტყვი-
ერად მოაყოლეთ და მონათხობი თავად ჩიაწერეთ.

დაასრულეთ სავარჯიშო ქვემოთ მოცემული წესით. გთავაზობთ ორ ალტერნატივას.

1. ՅՈՒԺՆԱԲԵՐԸ

ხატვის დასრულების შემდეგ ბავშვები ვიდეოკამერის წინ იქცერენ ნახატს და განმარტავენ, რა დახატენ.

2. Հոգեբան-քասյեօ դրտմանցու վարչութեան պահանջութեան մասին

დაგ, ბავშვებმა ერთმანეთს აჩვენონ და უამბონ, რა დახატეს; ერთმანეთს კითხვები დაუსვაბ თქვენი დახმარებით.

მე-3 ფაზა: ერთობლივი ნახატი კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ

აიღეთ დიდი (დაახლოებით 1,5მX1მ) ფორმატის ფურცელი და დაავალეთ ბავშვებს, რომ ყველაზე ერთად დახატოს გადატანილი კონფლიქტი და ძალაობა:

“ახლა ყველამ ერთად ამ დიდ ფურცელზე დაგხატოთ ის ცუდი და უაზრო რამები, რაც კონფლიქტისა და ძალადობის დროს გინახავთ: გინდათ ადამიანი დახატეთ, გინდათ – კონფლიქტის სცენა. დახატეთ, როგორც თქვენ წარმოგიდგნიათ, რაოდენ უაზრო და რეაგენტული სახე არ უნდა იყოს ეს! გნებავთ, მიაწერეთ, რა სიტყვებს ამბობდნენ ამ დროს.”

სშირად ხდება, რომ მიუხედავად მითითებისა, ყველა თავისთვის ხატვას იწყებს.

არაუშავს, თუკი ყველა ერთ საერთო ფურცელზე დახატავს, ყველას საქმარისი ადგილი ექნება და ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. წააქეზეთ კომენტარებით: “უი, რა საშინელი ვინმე გამოვიდა! აი ნამდვილი რეგვენის სახე! არ მოგერიდოთ, ისე დახატეთ, როგორც თქვენ გინდათ.”

ხატვის დროს ნუ ჩაერევით, მთავარია, ყველა მონაწილეობას იღებდეს. და რაც მთავარია, დროულად შეაჩერეთ პროცესი. შეაგროვეთ ულომასტერები და დაასრულეთ სავარჯიშო ქვემოთ მოცემული წესით. გთავაზობთ ორ ალტერნატივას.

1. ბურთების დაშენა

ნახატი კედელზე ჩამოკიდეთ, დანარჩენი ნივთები კი აალაგეთ. დაურიგეთ ბავშვებს ბურთები (ან ქვიშით გატენილი ქისები, სათამაშო ჟელე და სხვ.), რომლებსაც ისინი ნახატს დაუშენენ. გაავლეთ ხაზი, განალაგეთ ზედ ბავშვები და აუხსენით მთავარი წესი: სროლა იწყება და მთავრდება მხოლოდ და მხოლოდ თქვენი მითითებით! ბავშვებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ ბურთებს უშენენ არა ნახატზე გამოსახულ ადამიანს, არამედ მის მიერ ჩადენილ ცუდ საქციელს!

თამაშის დროს შეძლებისდაგვარად წააქეზეთ ბავშვები, თუმცა თვალი გეჭიროთ, რომ ერთმანეთს არ გაარტყან ბურთები. შეაგროვეთ ნასროლი ბურთები და ჩამოარიგეთ ხელახლა. გაიმეორეთ პროცესი რამდენჯერმე.

2. დახევა

ბავშვები ყველა ერთად ბლუჯავენ ნახატს და თქვენს ნიშანზე ნაფლეთებად აქცევენ მას. თამაშის დროს შეძლებისდაგვარად წააქეზეთ ისინი.

ნაფლეთები სანაგვეში ჩაყარეთ და დაგ, იქაც ფეხით ჩათელონ. თან იყვირონ: “ადარ გვინდა ჩეუბი! აღარ გვინდა ძალადობა!”

მე-4 ფაზა: ვისი ბრალი იყო

დაარიგეთ №5.2 სავარჯიშო ფურცლები და წაუკითხეთ ბავშვებს ტექსტი. აუხსენით, რომ უფროსების ჩეუბი და კონფლიქტი არაა ბავშვის ბრალი, მაშინაც კი, როცა ჩეუბის საგანი ბავშვია.

ფურცელი 5.2

ვისი ბრალი იყო?

ცუდია, როცა ბავშვი ხედავს, როგორ ჩეუბობენ ოჯახში უფროსები. და იცი, უცნაური რა არის? ის, რომ რაც მოხდა, შენი ბრალი გგონია, მიუხედავად იმისა, რომ შენ ამ დროს არაფრის გაკეთება არ შეგეძლო.

ეს ასე არაა!

და თუ მაინც ვერ იშორებ ამ აზრს, ან თუ ვინმე გეტყვის, რომ უფროსების ჩხები და კონფლიქტი შენი ბრალი იყო, მაშინ ყოველთვის გახსოვდეს და შეუძახე ხოლმე საკუთარ თავს:

ჩემი ბრალი არაა, რაც მოხდა!

მე-5 ფაზა: ბრალის დათრგუნვა ცეკვით

დააყენეთ ბავშვები წრეში. დაავალეთ, რომ ყველამ ერთად ხმამაღლა და ფეხების ბრაგუნით დაითვალოს სამამდე და შემდეგ ერთობლივად შესძახოს: “ჩემი ბრალი არაა!” გაამეორებინეთ ეს რამდენჯერმე და ყოველ ჯერზე სულ უფრო ხმამაღლა აყვირეთ. თუ გსურთ, მიეცით თამაშს ინდიელების ცეკვის სახე: ბავშვებმა ერთმანეთს ხელი ჩაკიდონ და წრეში იარონ ფეხების ბრაგუნით და შეძახილით: “ჩემი ბრალი არაა!” დაასრულეთ თამაში ინდიელების ველური ყიუინით.

თუ სესიაზე დროში არ იქნებით შეზღუდული, მოცემული თამაშის წინ ჯერ შემდეგი სავარჯიშო ჩაატარეთ. მოცემულია ორი ალტერნატივა.

1. პასი

დააყენეთ ბავშვები წრეში. მიეცით მოზრდილი მძიმე ბურთი, რომელსაც ბავშვები ერთმანეთს ჩააწერიან იატაკზე დახეთქებით და შეძახილით: “ჩემი ბრალი არაა!” წააქეზეთ ბავშვები, რომ სულ უფრო ხმამაღლა იყვირონ.

2. აფიშირება

მიმართეთ ბავშვებს: “როგორც წავიკითხეთ, თქვენი ბრალი არაა, რაც მოხდა. ახლა ეს დიდი ასევებით დაწერეთ ცალკე ფურცელზე – ჩემი ბრალი არაა! – ქვემოთ კი თქვენი სახელი მიაწერეთ.”

თვალი ადგნეთ, რომ დავალება ყველა ბავშვმა შეასრულოს. დაეხმარეთ მათ, ვისაც წერა უჭირს. ჩამოკიდეთ ფურცელები კედელზე და დაგ, ასე ეკიდოს სესიის დასრულებამდე.

მე-6 ფაზა: მშობლებთან ერთად

წაიყვანეთ ბავშვები მშობლების ჯგუფში, სადაც თქვენთან ერთად უამბობენ მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე.

ეე-6 სესია. კოცლიქტი და პარჯაზე II

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№6.0 სავარჯიშო ფურცელი).

მე-2 ფაზა: რაზე იყო კონფლიქტი და ძალადობა?

დადგეთ იატაქზე დიდი (მაგ., 2) ფორმატის ფურცელი და დასხით ბავშვები მის გარშემო. სათითაოდ გამოყითხეთ და დაწერინეთ, რა იყო მათ მიერ განცდილი კონფლიქტისა და ძალადობის მიზეზი. დაწერონ ნებისმიერი რამ, რაც სურთ. დაიმახსოვრეთ (ან ჩაინიშნეთ), ვინ რა მიზეზს დაასახელებს. საჭიროების შემთხვევაში დააკონკრეტებინეთ ნათქვამი: ვინ რას იძახდა? როგორ დაიწყო ყველაფერი? რა იყო მიზეზი? რატომ გამწვავდა კონფლიქტი? აქ ბავშვებს შეიძლება თავადაც გაუჩნდეთ კითხვები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გავლენა, დანაშაულის გრძნობა, უსაფრთხოება და ა.შ. ამიტომ მომზადებული გქონდეთ პასუხები.

განუმარტეთ ბავშვებს, რომ უფროსებს შორის უთანხმოება ხშირად ბავშვების მიზეზით ხდება, როცა ბავშვი რამეს დააშავებს. აქ ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ თუნდაც კონფლიქტის მიზეზი ბავშვი იყოს, ბავშვის ბრალი არაა, თუ უფროსები უპასუხისმგებლოდ იქცევიან და ერთმანეთს ფიზიკურად უსწორდებიან. ეს არაა ბავშვის ბრალი! საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ წინა სესიაზე ნასწავლი ბრალის დათრგუნვის სავარჯიშო.

სესიის დასრულების შემდეგ თავად ავსებთ №6.1 სავარჯიშო ფურცლებს. დაწერეთ მხოლოდ ის, რაც ბავშვმა თქვა.

ურცელი 6.1

რაზე იყო კონფლიქტი და ძალადობა?

დღეს ყველამ ერთად ჩამოვწერეთ, რაზე იყო თქვენს სახლში მომხდარი კონფლიქტი და ძალადობა.

ასეთი იყო შენს მიერ დასახელებული მიზეზი:

.....
.....

მე-3 ფაზა: სირბილი “სიქის გაძრობამდე” (1)

განალაგეთ ორი სანიშნი ერთმანეთისგან მოშორებით და დაავალეთ ბავშვებს, რომ შემოურბინონ, მაგალითად, 30 წელი. თუ გსურთ, მიეცით ამას შეჯიბრის სახე. ამ სავარჯიშოს დანიშნულება ისაა, რომ ბავშვები განიტვირთონ იმ უარყოფითი ენერგიისგან, რომელიც კონფლიქტსა და ძალადობაზე საუბარის შედეგად დაუგროვდებათ. არბენინეთ ბავშვები მანამ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ დაძაბულობა განიტვირთა.

მე-4 ფაზა: დახატეთ კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ (2)

მოაწყობინეთ ბავშვებს “ბუდე” და დაურიგეთ №6.2 სავარჯიშო ფურცლები, რაოდ კიდევ ერთხელ დახატონ, რაც მათ სურთ, კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ. დაურიგეთ წინა სესიაზე შესრულებული ნახატებიც (№5.1 სავარჯიშო ფურცლები), კინიცობაა იქაც რაიმეს დამატება მოუნდეთ. რომ მორჩებიან, დაავალეთ გაიხსენონ და დახატონ ძალადობის სხვა შემთხვევები. საკმარისად იქონიეთ ფურცლები.

ჩამოიარეთ და გაამსნევეთ პატარები, დაუსვით კითხვები და თხოვეთ, წერილობითაც აღწერონ ნახატი.

მე-5 ფაზა: უსაფრთხო ბრაზი

დაარიგეთ №6.3 სავარჯიშო ფურცლები და წაუკითხეთ ბავშვებს ტექსტი. აუხსენით, რომ დღეს ისინი ისწავლიან უსაფრთხო ბრაზის თამაშს, რომელსაც შემდეგ სესიაზეც ითამაშებენ. ხაზი გაუსვით, რომ უსაფრთხოდ გაბრაზების წესი მარტო ბავშვებს კი არა, უფროსებსაც ეხებათ!

ფურცლი 6.3

უსაფრთხო ბრაზი

ჩვენს თერაპიაზე დავინახეთ, რომ ყველას შეიძლება დაეუფლოს ბრაზი ოჯახში მომხდარი კონფლიქტისა და ძალადობის გამო. როცა ბრაზობს ადამიანი, უნდა, რომ წისძი პერას რამეს, დაარტყას, იყვიროს. ამიტომ ჩვენ უსაფრთხო ბრაზის თამაშს ჩავატარებთ. რას ეწოდება “უსაფრთხო ბრაზი”?

უსაფრთხო ბრაზი

ნიშნავს

გაჯავრდე ისე რომ ზიანი არ მიაყენო:

- არც საკუთარ თავს,
- არც სხვებს და
- არც საგნებს.

ეს სულაც არაა შეუძლებელი, რაც უნდა გაბრაზებული იყო! თუ როგორ – ამას ისწავლი თამაშით, რომელსაც ახლა ჩავატარებთ. და როცა ისწავლი, ეს თამაში შემდეგ სახლშიც შეგიძლია გაიმეორო ხოლმე.

დაგჭირდებათ: ლეიბი, პენოპლასტის ნატეხი ან კრივის ტომარა.

დასხით ბავშვები ოთახის ერთ კუთხეში და მიაყედეთ (ან ჩამოკიდეთ) სავარჯიშო მასალა მათგან უსაფრთხო მანძილზე. გააცანით თამაშის არსი: ბავშვები რიგრიგობით უნდა მივიღნენ ლეიბთან (პენოპლასტოან, კრივის ტომარასთან) და სამჯერ ზედიზედ ჯავრი იყარონ მასზე: მუშტები დაუშინონ, წისლით აბურთაონ და ასე შემდეგ. მთავარია, ყოველივე ეს უსაფრთხოდ ჩატარდეს.

გამოიძახეთ პირველი ბავშვი და მიეცით ინსტრუქცია:

“დღეს ვითამაშებთ, თუ როგორ გაგბრაზდეთ უსაფრთხოდ ყოველივე იმ უაზრო კონფლიქტებზე და ძალადობაზე. გაისენე, როგორ ბრაზდები ხოლმე ამის გახსენებაზე. სამამდე რომ დავითვლი, შეგიძლია მიხვიდე და სამჯერ ზედიზედ მუშტი დასცხო ან წისლი უთავაზო ლეიბს. კარგი? შემდეგ დაწყნარდები და შენს ადგილს დაუბრუნდები.”

თვალი გეჭიროთ და აკონტროლეთ როგორც თითოეული ბავშვის უსაფრთხოება, ისე მთელი ჯგუფის განწყობა. თუ რომელიმე ბავშვი კონტროლს დაკარგავს, შეაჩერეთ და დააწყნარეთ.

მუ-6 ფაზა: სირბილი “სიქის გაძრობამდე” (2)

სიბრაზე ვეღარ მოერევა ადამიანს, თუ ბევრ ენერგიას დახარჯავს სპორტით. აუხსენით ეს ბავშვებს და დაავალეთ გაიმეორონ სირბილის სავარჯიშო. ამჯერად საჭირო იქნება 30 წრეზე მეტი (თავად განსაზღვრეთ, რამდენი).

მუ-7 ფაზა: მშობლებთან ერთად

წაიყვანეთ ბავშვები მშობლების ჯგუფში, სადაც თქვენთან ერთად უამბობენ მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე.

მე-7 სესია. გრძელი


1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№7.0 სავარჯიშო ფურცელი). წაიკითხეთ ტექსტი.

უსრულები 7.0

დღეს როგორ გრძნობ თავს?

ჩვენ კვირაში ერთხელ განვიხილავთ, როგორ გრძნობთ თავს. წინა კვირას ერთ-ერთ გრძნობაზე ვსაუბრობდით, რომელსაც ბრაზი ეწოდება. დღეს ამ გრძნობას კიდევ უფრო ჩაგუდრმავდებით.



ბავშვები, ვისაც ბევრი კონფლიქტი და ძალადობა უნახავს, ხშირად ბრაზ-დებიან. გასაგებია რატომაც! გინდა, რომ რამენაირად შეაჩერო ეს უაზობა, უფროსები კი ყურსაც არ გიგდებენ და თავისას განაგრძობენ.

გაბრაზდები, აბა რას იზავ!

მე-2 ფაზა: კითხვები კონფლიქტსა და ძალადობაზე

სანამ ბრაზის თემას ჩაუდრმავდებოდეთ, ბავშვებს ჯერ მე-2 სესიის მე-2 ფაზაში აღწერილი თამაში შეასრულებინეთ, ოღონდ ამჯერად კონფლიქტისა და ძალადობის თემაზე. თითოეულ გამონათქვამზე ბავშვები უნდა გაიქცნენ და დაჯგუფდნენ იმ პასუხთან, რომელიც მათ აწყობთ. დაიწყეთ რამდენიმე ხეიტრალური განცხადებით და გადადით კონკრეტულ წინადაღებებზე კონფლიქტისა და ძალადობის ირგვლივ.

მაგალითად: “მე მინახავს კონფლიქტი ჩემს ოჯახში”, “მე ყური მოვკარი კამათს”, “მე მინახავს ძალადობა”, “ჩემები რომ ჩეუბობდნენ, მე მეშინოდა”, “ჩემების ჩეუბის გამო დამე ცუდ სიზმრებს ვხედავ”, “მე უფროსების ჩეუბს ჩემი დაიკო/ძამიკო გამოვარიდე”, “პოლიცია გამოვიძახე”, “მამიკომ/დედიკომ მეც მცემა” და ა.შ. შეეხეთ ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ბავშვის უგულვებელყოფისა და სექსუალური ძალადობის თემებსაც. თუ რამეს ახალს შეიტყობოთ, ჩაეძიეთ და გამოკითხეთ ბავშვს დეტალები. წინასწარ მოიფიქრეთ ყველა გამონათქვამი, რათა თერაპიისთვის საჭირო ინფორმაცია მიიღოთ იმის შესახებ, თუ რა ნახა და განიცადა ამა თუ იმ ბავშვმა. თუ ზოგ ბავშვს უჭირს ლაპარაკი ან ხატვა, ყურადღება გაამახვილეთ არავერბალურ ნიშნებზე.

შეგიძლიათ მოზრდილ ბავშვებს თავადაც ათქმევინოთ წინადადებები. დაასრულეთ თამაში ისევ რამდენიმე ნეიტრალური განცხადებით.

აქვე აცნობეთ ბავშვებს, რომ მომდევნო კვირიდან ისევ მშობლები ივლიან მათთან სესიის დასასრულს.

მე-3 ფაზა: შინაგანი ბრაზი


დაარიგეთ №7.1 სავარჯიშო ფურცლები და წაუკითხეთ ბავშვებს ტექსტი.

შურცელი 7.1

ბრაზი

ბავშვები, ვისაც ბევრი კონფლიქტი და ძალადობა უნახავს, საკუთარ სხეულში გრძნობენ ბრაზს.

ახლა გააფერადე სხეულის ის ნაწილები, სადაც სიბრაზეს გრძნობ.



ზოგჯერ ვერც კი ხვდები, რომ ბრაზი ჯერ კიდევ შენში ზის. მაგრამ მოვა ვიღაც, თუნდაც შენი კლასელი, და ცუდს გეტყვის. ამ დროს ბრაზი იფეთქებს და გარეთ გამოდის. შენც ცუდ რამეს პასუხობ, გამოლანდავ, შეიძლება უსილაქო კიდეც ან პანდური უთავაზო. იწყება აყალ-მაყალი. მასწავლებელი ჯავრდება, ბრაზობენ ბაგშვებიც.

შენ კიდევ სულაც არ გინდოდა ამგვარი აურზაური.

ზოგჯერ შეიძლება დედაზეც კი გაჯავრდე, რომელიც სრულიად უბრალო რამეს გთხოვს:

“შვილო, შენი მაგიდა აალაგე.”

ერთი ჩვეულებრივი თხოვნაა, მაგრამ შენ მაინც ჯავრდები. თავადაც ვერ ხვდები, რატომ.

ბრაზი თავისთავად არაა ცუდი რამ. ბრაზი ცუდია მაშინ, როცა გაიძულებს ადამიანს აწყენინო ან ტკივილი მიაყენო.

ამიტომ უნდა ისწავლო, როგორ შეიკავო ბრაზი, რომ არც არავის აწყენინო და არც ტკივილი მიაყენო.

მე-4ფაზა: უსაფრთხო ბრაზის სავარჯიშოს გამეორება

დაგჭირდებათ: დები, პენოპლასტის ნატეხი ან კრივის ტომარა.

დასხით ბავშვები ოთახის ერთ კუთხეში და მიაყედეთ (ან ჩამოქიდეთ) სავარჯიშო მასალა მათგან უსაფრთხო მანძილზე. ბავშვები კვლავ რიგრიგობით უნდა მივიდნენ ლეიბთან (პენოპლასტთან, ქრივის ტომარასთან) და სამჯერ ზედიზედ ჯავრი იყარონ მასზე: მუშტები დაუშინონ, წისლით აბურთაონ და ასე შემდეგ. მთავარია, ყოველივე ეს უსაფრთხოდ ჩატარდეს.

გამოიძახეთ პირველი ბავშვი და თხოვეთ დაასახელოს, რა აჯავრებს ყველაზე მეტად. გაიხსნოს მხოლოდ ჩხუბთან ან ძალადობასთან დაკავშირებული უსიამოვნება. გაიმეორეთ მისი ნათქვამი და დასძინეთ:

“ახლა წარმოიდგინე, როგორ ბრაზდები ხოლმე ამის გახსენებაზე. სამამდე რომ დაკითვლი, შეგიძლია მიხვიდე და მუშტი დასცხო ან წისლი უთავაზო ლეიბს. ოდონდ თან ხმამაღლა თქვი, რაზე იყრი ჯარს.”

გაიმეორეთ ეს ციკლი სამჯერ, დაე, ბავშვმა ჯავრი იყაროს სამ სხვადასხვა რამეზე. თვალი გეჭიროთ და აკონტროლეთ როგორც თითოეული ბავშვის უსაფრთხოება, ისე მთელი ჯგუფის განწყობა. თუ რომელიმე ბავშვი კონტროლს დაკარგავს, შეაჩერეთ და დააწყინარეთ.

თუ ბავშვი ამა თუ იმ ადამიანზეა გაბრაზებული, მიახვედრეთ, რომ მისი ბრაზი მიმართულია მხოლოდ ამ ადამიანის ცუდ საქციელზე. კარგი საქციელი ხომ ყველა ადამიანს ახასიათებს! ზოგ ბავშვს ჭირდება მსგავსი განმარტება, რათა თავისუფლად გზა მისცენ გრძნობას.

ამ თამაშში შეიძლება ორი უკიდურესობა შენიშნოთ: ერთი, რომლებიც შიშით და რიდით ასრულებენ „დავალებას”, და მეორები, რომლებიც თავშეუკავებელ აგრძესიაში გადადიან. აქ აუცილებელია თქვენი “თერაპიული კონტროლი”. თერაპიაზე ბავშვები ყოველთვის უსაფრთხო ატმოსფეროს უნდა გრძნობდნენ! თუ რომელიმე ბავშვი კონტროლს დაკარგავს, ერთ-ერთი თერაპევტი სიტყვებით აწყნარებს და ფრთხილად ცდილობს მის „მოთოკვას“, ხოლო მეორეს დანარჩენ ბავშვებზე უჭირავს თვალი. ბავშვის დაწყნარება სხვადასხვანაირად შეიძლება: არბენინეთ, დაათვლევინეთ ათამდე, ასუნოქეთ დრმად, დაელაპარაკეთ ალერსით, უთხარით, რომ არ ბრაზობთ მის საქციელზე, რომ ყველაფერი გაივლის და მას არაფერი ემუქრება.

ბავშვი რომ ასე თუ ისე დაწყნარდება, განიხილეთ ინციდენტი მთელ ჯგუფთან ერთად. დისკუსია უნდა იყოს ობიექტური, მაგრამ იმავდროულად ნათელი და კონკრეტული.

მე-5 ფაზა: უსაფრთხო ბრაზის საგარჯიშო შინ

დაარიგეთ №7.2 საგარჯიშო ფურცელები და წაუკითხეთ ბავშვებს ტექსტი. ეს ფურცელი შეუძლიათ შინ წაიღონ.

საშინაო დავალება: “მოიფიქრეთ მშობლებთან ერთად, კიდევ როგორ შეიძლება უსაფრთხო გათავისუფლდეთ ბრაზისგან სახლში, სკოლაში თუ ქუჩაში. შემდეგ სესიამდე სახლში რამდენჯერმე გაიმეორეთ უსაფრთხო ბრაზის საგარჯიშო და შემდეგ გვიამბეთ, როგორ ჩაიარა ვარჯიშმა.”

ფურცელი 7.2

როგორ გაეთავისუფლდეთ ბრაზისგან

- შედი შენს ოთახში და მუშტები დაუშინე ლეიბს ან ბალიშს;
- დაწერე ფურცელზე, როგორი გაბრაზებული ხარ;
- აიღე ბურთი, გადი ეზოში და ზედიზედ რამდენჯერმე კედელს ესროლა, გინდა ფეხით, გინდა ხელით (ოდონდ სადმე შუშა არ ჩატეხო, თორემ მერე სხვაც გაბრაზდება);
- აიღე სქელი ფლომასტერი და ცარიელი ფურცელი დაჩხაპნე;
- თხოვე დედას (მასწავლებელს, ჯგუფის ხელმძღვანელს), რომ სადმე კუთხეში ძველი ლეიბი მიაყედოს. როცა გაბრაზდები (მაგალითად, შენი მაგიდა აალაგეო, რომ გეტყვიან), მივარდი ლეიბს და წიხლები დაუშინე;

- აიღე ქაღალდის ფურცელი და ნაკუწებად აქციე (ოღონდ მოგვიანებით თავადვე აალაგე ნაკუწები, თორემ სხვასაც გააბრაზებ).

ესაა უსაფრთხო გაბრაზების მეთოდები. თუ შენ სიბრაზისგან გათავისუფლების საკუთარი ხერხები გაქვს, შეგიძლია აქ დაწერო:

.....

.....

.....

მე-6 ფაზა: მშობლებთან ერთად

წაიყვანეთ ბავშვები მშობლების ჯგუფში, სადაც თქვენთან ერთად უამბობენ მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. განიხილეთ საშინაო დავალება და თხოვეთ მშობლებს, რომ შინ დაეხმარონ შვილებს უსაფრთხო გაბრაზების სავარჯიშოს შესრულებაში.

შენიშვნა: გააცანით მშობელთა ჯგუფის თერაპევტებს, რის შესახებ ისაუბრებენ ბავშვები მომავალ კვირას, რათა მათ მშობლები მოამზადონ მოულოდნელი სიტუაციებისთვის. მშობელი ვერ გაუწევს შვილს მსარდაჭერას, თუკი თავად დაითრგუნა ისეთი უარყოფითი ემოციებით, როგორიცაა ბრაზი და სევდა.

ეჯ-8 სესია. პაგინ ეოურლა

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№8.0 სავარჯიშო ფურცელი). აქვე აცნობეთ ბავშვებს, რომ დღეს სესიის დასასრულს ისევ მშობლები შემოუერთდებიან მათ.

მე-2 ფაზა: როგორ ჩაიარა შინ უსაფრთხო ბრაზის სავარჯიშომ

გამოიკითხეთ სათითაოდ, როგორ ასრულებდნენ ბავშვები სახლში უსაფრთხო გაბრაზების სავარჯიშოს. გამოიყენეთ №8.1ა სავარჯიშო ფურცლები.

ურცელი 8.1პ

როგორ ჩაიარა შინ უსაფრთხო ბრაზის სავარჯიშომ?

ერთი კვირის წინ ჩვენ შევასრულეთ უსაფრთხო ბრაზის სავარჯიშო. ჩვენ ვნახეთ, როგორ უნდა გაბრაზდე ისე, რომ არც საკუთარ თავს, არც სხვებს და არც საგნებს ზიანი არ მიაყენო. გახსოვთ?

შემდეგ მოგეცათ საშინაო დავალება, რომ შინ, სკოლაში თუ ქუჩაში რამდენჯერმე გაგემეორებინათ ეს სავარჯიშო. ახლა გვიამბეჭდეთ, როგორ შეასრულე სავარჯიშო და მოახერხეთ თუ არა უსაფრთხოდ გაბრაზებულიყავი?

მე გასულ კვირას გავბრაზდი, რადგან:

მე უსაფრთხოდ გავბრაზდი, რადგან:

თუ შენ მოახერხე, რომ უსაფრთხოდ გაბრაზებულიყავი, დაიმსახურე სტიკერი!

სტიკერი

თუ აღმოჩნდა, რომ ბავშვებმა ვერ მოახერხეს დამოუკიდებლად უსაფრთხო ბრაზის სავარჯიშოს შესრულება, შემდეგ სესიაზე – და ყოველ მომდევნო სესიაზე, სანამ შედეგს არ მიაღწევთ – 1-ლ და მე-2 ფაზებს შორის წაკითხეთ და შეავსებინეთ №8.1ბ სავარჯიშო ფურცელი.

მე-3 ფაზა: მოსაყოლი ამბის მომზადება

დღეს ბავშვებმა მშობლებს თავიანთი შთაბეჭდილებები უნდა გაუზიარონ ოჯახში კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ. დაარწმუნეთ პატარები, რომ მათი მშობლები მომზადებული არიან და არაფერი არ ეწყინებათ. თუმცა ეს პროცესი ბევრ ბავშვს ალბათ მაინც გაუმნელდება. ამიტომ ჯერ “ბუდე” მოამზადებინეთ, ეს მშობლებისთვისაც სასარგებლო იქნება!

დაარიგეთ შევსებული სავარჯიშო ფურცლები: №5.1, 6.1 და 6.2, მათთან ერთად ყველა დამატებითი ფურცელი, რომელიც ბავშვებს ხატვისას დაჭირდათ. დაავალეთ, გადახედონ ფურცლებს და მოამზადონ სათქმელი. ჩამოუარეთ სათითაოდ და მიეცით რჩევები, როგორ გადმოსცენ აზრი. კითხეთ, უნდათ თუ არა შთაბეჭდილებების გამხელა და რა რეაქციას მოედიან მშობლისგან.

ზოგი ბავშვი შეიძლება დაიბნეს ან ვერ მიხვდეს, როგორ უნდა გადმოსცეს სათქმელი. დაავალეთ, ჩამოწერონ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებება, გულისტკივილი, რომელსაც შემდეგ რიგრიგობით უამბობენ მშობლებს.

თუ დაძაბულობას შენიშნავთ, შეასრულებინეთ განტვირთვის სავარჯიშო. გაიმეორეთ, რომ მშობელთან საუბრისას ისინი თავიანთ “ბუდეებში” ისხდებიან.

მე-4 ფაზა: მშობლებთან ერთად: ამბის მოყოლა

ამ ფაზისთვის საკმარისი ღრო გამოყავით, სულ მცირე 45 წელი.

მოახსენეთ მშობლებს, რომ დღეს მათ შვილები შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ ოჯახში კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ. ბავშვები უპვე მზად არიან და “ბუდეებში” ელიან მშობლებს.

თერაპევტები წესით არ ერევიან მშობლისა და შვილის საუბარში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჭიროა რაიმეს ახსნა-განმარტება, მხარდაჭერა, დახმარება. საუბრის დასასრულს ჩამოიარეთ და გამოიკითხეთ, როგორ ჩაიარა საუბარმა და ხომ არ აქვთ კითხვები.

გამონაკლის შემთხვევაში, როცა ბავშვს ან, პირიქით, მშობელს ეშინია ან ვერ ბედავს პირისპირ საუბარს, თერაპევტი შეიძლება დაესწროს საუბარს, თუ ამას ერთ-ერთი მხარე მოითხოვს.

ყველა რომ მორჩება, მშობლები და შვილები ერთად ასრულებენ ბრალის დათრგუნვის ერთ-ერთ ვარჯიშს მე-5 სესიიდან. ამ დროს მშობლები ყვირიან: “ბავშვის ბრალი არაა!”

დაასრულეთ სესია განტვირთვის ვარჯიშით. ეს ფაზა ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული მომენტია მთელი თერაპიის მანძილზე, ამიტომ ამ ვარჯიშსაც საკმარისი დრო დაუთმეთ.

ეჯ-2 სეიდ. ყანესევებული გრძნობაზი ერთდროულად


1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№9.0 სავარჯიშო ფურცელი). მოკლედ გამოიკითხეთ, როგორ განწყობაზე არიან ბავშვები წინა სესიაზე ჩატარებული საუბრის შემდეგ. წაიკითხეთ ტექსტი.

ფურცელი 9.0

დღეს როგორ გრძნობ თავს?

წინა სესიებზე ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ, ვითამაშეთ და ვივარჯიშეთ სხვადასხვა გრძნობების შესახებ.



ახლა კი დაფიქრდით და გაიხსენეთ, რომ ზოგჯერ არა უბრალოდ ერთი, არამედ ერთდროულად ორი, სამი და ოთხი გრძნობაც კი შეიძლება დაუჭიფლოს ადამიანს!

მჯ-2 ფაზა: გრძნობების ადგილი სხეულში

გამოიკითხეთ წინა სესიის საშიანო დავალება და შეავსებინეთ ბავშვებს ფურცელი №9.1.

დაგჭირდებათ: სივრცე, შპალერი ან ქაღალდის დიდი ფურცლები, ფერადი ფლომას-ტერები, ფანქრები და ცარცი.

ამ სავარჯიშოსთვის საჭიროა, რომ შპალერის ან ქაღალდის ნაჭრებზე ბავშვების სხეულის გარშემოწერილობა აიღოთ, რომელსაც შემდგომ ისინი გააფერადებენ. დააწვინეთ ბავშვები ზურგზე და შემოხაზეთ კონტურები. გნებავთ, ბავშვებმა ერთმანეთს აუღონ კონტურები, იმ პირობით, თუ ერთმანეთს ფიზიკურად არ შეაწებებენ. ამის შემდეგ ყველა საკუთარი კონტურის გაფერადებას იწყებს. ჯერ ხატავენ სახეს და ტანსაცმელს. შემდეგ სათითაოდ ჩამოუვლით და დაავალებთ, რომ დაფიქრდნენ და გაიხსენონ სხეულის რომელ ნაწილში გრძნობენ სიხარულს, ბრაზს, შიშს და სევდას. დაე, ბავშვმა თავად შეურჩიოს ფერი თითოეულ გრძნობას და გააფერადოს შესაბამისი სხეულის ნაწილი. შეუძლია სიტყვიერადაც მიაწეროს რამე. უფლება აქვს ერთი და იგივე გრძნობა სხეულის რამდენიმე ნაწილში გაიმეოროს.

მე-3 ფაზა: ბავშვის კითხვები კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ
ბავშვი ხშირად ვერ ხვდება რატომ, რის გამო ხდება კონფლიქტი და ძალადობა. დაავალეთ ბავშვებს ჩამოწერონ ყველა ის კითხვა, რაც მათ აწუხებთ. ხაზი გაუსვით, რომ კითხვა უნდა ეხებოდეს მხოლოდ კონფლიქტსა და ძალადობას. მაგალითად: რატომ ხსუბობენ უფროსები? რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა, რომელიც კამათისას გაიგონე? და ა.შ.

მოაგროვეთ ფურცლები ერთ უეთში, შემდეგ სათითაოდ ამოიღეთ და პასუხი გაეციო კითხვებს.

მე-4 ფაზა: განსხვავებული გრძნობები

დადეთ იატაკზე დიდი (მაგ., 2) ფორმატის ფურცელი და დასხით ბავშვები მის გარშემო. სიხარულის, ბრაზის, შიშის და სევდის გარდა არსებობს კიდევ მრავალი სხვა გრძნობა. თხოვეთ ბავშვებს მოიყვანონ მაგალითები და ჩამოწერეთ (ან თავად დააწერინეთ) ყველაფერი საერთო ფურცელზე.

მე-5 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები ოქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. აჩვენეთ მშობლებს მათი შვილების მიერ დასახელებული სხვადასხვა გრძნობები და ჩამოკიდეთ ფურცელი გამოსახულება ადგილზე. ახლა მათ ერთი თამაში უნდა შეასრულონ: ერთ-ერთი ბავშვი ან მშობელი ჩაიფიქრებს რომელიმე გრძნობას და ცდილობს უესტიულაციით გამოხატოს ის. დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ, რა გრძნობაა ეს. ვინც პირველი გამოიცნობს, თავად გამოვა “სცენაზე” და მორიგი გრძნობის გამოხატვას შეეცდება. ალტერნატივა: თამაშს შევიძლიათ ჯგუფური ხასიათი მისცეთ. დაე, “სცენაზე” ერთდროულად რამდენიმე ადამიანი გამოვიდეს: ბავშვები ერთად, მშობლები ერთად, ან მშობლები და შვილები წევილ-წევილად. თამაშისას შეიძლება ისეთი გრძნობებიც დასახელდეს, რომელიც სიაში არაა. მიაწერეთ ისინიც.

დაასრულეთ სესია განტვირთვის ვარჯიშით.

ეტ-10 სესია. სკილურობა


1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№10.0 სავარჯიშო ფურცელი). წაიკითხეთ ტექსტი.

ფურცელი 10.0

დღეს როგორ გრძნობ თავს?

წინა სესიებზე ჩვენ ვისაუბრეთ განსხვავებულ გრძნობებზე. გრძნობ თუ არა დღეს სხვა რამეს ბრაზის, სიხარულის, შიშის და სევდის გარდა? თუ გრძნობ, დახატე ამ ფურცლის უკანა მხარეს.



მე-2 ფაზა: საიდუმლო

დაარიგეთ №10.1 სავარჯიშო ფურცლები. წაუკითხეთ ბავშვებს მოცემული ტექსტი და შემოახაზინეთ სწორი პასუხები. შეგიძლიათ ამას ვიქტორინის სახე მისცეთ – ბავშვებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გასცენ პასუხი კითხვებს.

ურცელი 10.1

ქვემოთ გავარჩევთ რამდენიმე სახის საიდუმლოს. შემოხაზე პასუხი, რომელიც სწორად მიგაჩნია: კარგი საიდუმლოა თუ ცუდი.

მამიკომ გიამბო, რომ დედიკოს დაბადების დღითვის საჩუქრის ყიდვას აპირებს და გთხოვა, ჯერ არავის უამბო. როგორი საიდუმლოა ეს?

კარგი

ცუდი

შენმა ამხანაგმა მაღაზიაში შოკოლადი მოიპარა და გითხრა, არავის უთხრაო. როგორი საიდუმლოა ეს?

კარგი

ცუდი

მამამ დედიკოს გაარტყა და თვალი ჩაულურჯა. გითხრა, არავის უთხრაო. როგორი საიდუმლოა ეს?

კარგი

ცუდი

ერთი შენი კლასელი ყოველდღე ჩაგრავს მეორე კლასელს და გეუბნება, მასწავლებელთან სიტყვა არ დაგცდესო. როგორი საიდუმლოა ეს?

კარგი

ცუდი

მამამ (ან დედამ) უხეშად წაგათრია, რის გამოც მკლავი იღრძე და გაგაფრთხილა, ექიმს არაფერი უამბო. როგორი საიდუმლოა ეს?

კარგი

ცუდი

დედის დღესთან დაკავშირებით თანაკლასელებმა გადაწყვიტეთ, რომ დედებისთვის ნამცხვარი გამოაცხოთ და დათქვით, რომ ჯერჯერობით არავის უამბოთ. როგორი საიდუმლოა ეს?

კარგი

ცუდი

მუ-3 ფაზა: ცუდი საიდუმლოებებისგან გათავისუფლება

დაგჭირდებათ: (ზურგ)ჩანთები (სათითო ყოველი ბავშვისთვის), ბლომად ქვიშით გატენილი ქისები (ან მძიმე საგნები), ხალიჩა.

დაყარეთ ქისები (ან მძიმე საგნები) იატაკზე და მიმართეთ ბავშვებს:
“

ესაა თქვენი ცუდი საიდუმლოებები. ახლა აარჩიეთ სამ-სამი (ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი და ა.შ.), ჩაყარეთ ჩანთებში და აიკიდეთ ზურგზე.”

ტვირთაკიდებული ბავშვები ოთახში სიარულს იწყებენ.

“ცუდი საიდუმლოებები მძიმე ტვირთად გაწევთ. ისინი სულ უფრო და უფრო მძიმდებიან, გეწყებათ ზურგის ტკივილი, წელში იხრებით და დაძაბუნებულიდა დაჩანჩალებთ. ალბათ უკვე სხვებიც ამჩნევენ, რა ტვირთიც დაგაგქვთ ზურგით. არადა თქვენი ბრალი საერთოდ არაა, რომ ეს საიდუმლოებები აგკიდეს, რომ ასეთი ცუდი რამეები განიცადეთ ოჯახში დატრიელბული კონფლიქტისა და ძალადობის დროს. ბოლოს ისე იდლებით ტვირთის თრევით, რომ დასვენება გჭირდებათ. ამიტომ მოიხსენით ზურგჩანთები და დაისვენეთ.”

დასხით ბავშვები სალიჩაზე და ისაუბრეთ საიდუმლოებებზე. მოაყოლეთ, რას ინახავენ საიდუმლოდ. კითხეთ, სხვა ვისთვის უამბიათ საიდუმლო, ან ვისთვის სდომებიათ, რომ ეამბათ. დასკვნის სახით დაარწმუნეთ, რომ საჭირო აღარაა ცუდი საიდუმლოებების ზურგით თრევა, ვინაიდან მათზე საუბარი შესაძლებელი ყოფილა.

“ამის შემდეგ აღარ დაგჭირდებათ ცუდი საიდუმლოებების თრევა, რადგან ჩეენ ახლა მათ სანაცვეში მოვისვრით!”

დააყენეთ ბავშვები ერთ ხაზზე (ან, მაგალითად, დივნის უკან) და სათითაოდ ასროლინეთ ზურგჩანთები შორს. ამ პროცესს ძალიან უხდება ემოციური შეძახილები. თუ გნებავთ, ბავშვებს ნება მისცეთ, რომ ზურგჩანთებით იბურთაონ.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გაატარ-გამოატარეთ პატარები, რათა ნახონ, რა ადგილი ყოფილა ტვირთის გარეშე სიარული, როცა საიდუმლო აღარ აწესებთ, როცა აღარავინ ავალდებულებთ ზურგით ათრიონ ტვირთი და შეუძლიათ კვლავ ხალისით ითამაშონ!

მე-4 ფაზა: სიმღერა

წაიკითხეთ №10.2 საგარჯიშო ფურცელი, ჩართეთ (ან დაუკარით) შესაფერისი მუსიკა და იმღერეთ ერთად.

სიმღერა საიდუმლოზე

ყველა ბავშვს აქვს საიდუმლო
და რაღაცას გულში ითხობს,
მაგრამ ზოგჯერ მოყოლა სჯობს,
რომ შეიტყო, ვინ რას ფიქრობს.



ზოგჯერ შიშით ვერსად ყვები
(საიდუმლოს გააჩნია)
გეშინია, ბრალს დაგდებენ,
აქეთ სიცილს დაგაყრიან.

მაგრამ დედა თუ არ გისმენს,
მოუყევი შენს დაიკოს.
დაიკო თუ არ გყავს, მაშინ
ყური დეიდამ დაგიგდოს.
თუ დეიდა გასულია,
შეაწუხე მეზობლები.
თუ ისინიც შინ არ დაგხდნენ,
გაიხსენე მეგობრები.
შეიკრიბეთ, დაირაზმეთ,
დაუძახეთ მასწავლებელს.
იყვირეთ და იხმაურეთ,
სანამ ვინმე არ მოგისმენთ.



მე-5 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები თქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. სესიის ბოლოს მშობლებმა შვილებთან ერთად უნდა იმდერონ “სიმღერა საიდუმლოზე”. ამდერეთ ჯერ ბავშვები. შემდეგ დაურიგეთ მუსიკალური ინსტრუმენტები, ვისაც დაკვრა ეხერხება და იმდერეთ ყველამ ერთად.

დასრულეთ სესია განტვირთვის ვარჯიშით.


ეჯ-11 სესია. სიზრები და კოშეპრეგი

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№11.0 სავარჯიშო ფურცელი). წაიკითხეთ ტექსტი.

ფურცელი 11.0

დღეს როგორ გრძნობ თავს?



დღეს ჩვენ ვისაუბრებთ სიზმრებზე – როგორც კარგ, ისე ცუდ სიზმრებზე. ცუდ სიზმრებს კოშმარები ეწოდება. კოშმარები ყველას უნახავს – პატარებსაც და დიდებსაც. გაიხსენეთ, როგორ იღვიძებ დამით შეშინებული, ზეწრები არეულ-დარეულია და ვერ ხვდები, სად ხარ. ცოტა რომ გამოფხილდები, შიში გადაივლის. მაგრამ არსებობს სხვაინარი კოშმარებიც. ახლა წავიკითხოთ მომდევნო ფურცელი.

მე-2 ფაზა: საუბარი სიზმრებზე და კოშმარებზე

წაუკითხეთ ბავშვებს №11.1 სავარჯიშო ფურცელზე მოცემული ტექსტი.

უნივერსიტეტი 11.1

კოშმარები

კოშმარები აწესებთ ბავშვებს, რომელთა მშობლებსაც გამუდმებით ჩხუბი და შეხლა-შემოხლა აქვთ, რომლებიც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდნენ და მრავალი სხვა საშინელი ამბავი აქვთ გამოცდილი. ზოგი ბავშვი განსაკუთრებით ხშირად ხედავს კოშმარებს. რა არის ამის მიზეზი? რა და ის, რომ დღისით ერიდები ცუდზე ფიქრს და ცდილობ ცუდი მოგონებები სადმე, შენი სულის ბეჭდ კუნტულში შემალო. მაგრამ ასე ადვილი არაა ცუდი მოგონებების დამალვა. ისინი, როცა შენ ტკბილად გმინავს, ბეჭდი კუნტულიდან გამოდიან და თავს გახსენებენ. და სიზმარში ხედავ, თითქოს ყველაფერი თავიდან ხდება.

ყველაზე კარგი გამოსავალია, თუ ცუდ ამბავს კი არ მიმალავ სადმე, არა-მედ ვინმეს გაუზიარებ, უამბობ.

ვის უნდა უამბო ასეთი რამ?

შეგიძლია უამბო

შეგიძლია ცუდი მოგონებები უბის წიგნაკში ჩაიწერო. უბის წიგნაკს, თუ თხოვ, დედას გიყიდის, ან ჯგუფის ხელმძღვანელი გაჩუქებს. პოდა, თუ რამ ცუდი გაგახსენდა, ადექსი და წიგნაკში ჩაიწერე. შემდეგ თერაპიაზე მოიტანე და აქ ყველა ერთად გავარჩევთ.

არის კიდევ ერთი გამოსავალი – შეგიძლია კოშმარები განდევნო. თუ როგორ, ამას თერაპიაზე ვისწავლით.

მე-3 ფაზა: კოშმარის განდევნა

შეასრულებინეთ ბავშვებს შემდეგი სავარჯიშო:

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოყოლეო ბავშვებს მათი კოშმარების შესახებ. ზოგ ბავშვს სიზმარში “ჩვეულებრივი” დამტკიცებული მოჩვენებები სტუმრობენ, ზოგი კი პირდაპირ კონფლიქტისა და ძალადობის ამსახველ მომენტებს ხედავს. ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ ბავშვებმა ისწავლონ, როგორ გაუმჯლავდნენ ცუდ სიზმებს.

როცა ყველა თავის კოშმარს მოყვება, დააწვინეთ ბავშვები გვერდიგვერდ დიდ ხალიჩა-ზე. დაურიგეთ ბალიშები, პლედები და პლუშის სათამაშოები და გამორთეთ სინათლე.

ერთ-ერთი თერაპევტი “კოშმარის” როლს ასრულებს, მეორე კი სავარჯიშოს უძღვება: “მოდი, ახლა თავი მოვიმინაროთ, ვითომ დამეა და გძინავთ. ძილის დროს გეწვევათ კოშმარი, მის როლს შეასრულებს ... (თერაპევტის სახელი). კოშმარი ჩუმად მოგეპარებათ, ისე ჩუმად, რომ ვერც კი გაიგებთ, როგორ დაგადგათ თავზე. საბედნიეროდ, ძალა ერთობაშია და შეგიძლიათ ყველამ ერთად კუდით ქვა ასროლინო კოშმარს. როგორც კი მოგიახლოვდებათ, ყველა ერთად იღვიძებთ და ყვირილს იწყებთ: გაეთრიე, რეგვენო კოშმარო!”

შემდეგ წამყვანი კოლეგას თხოვს, შეუდგეს კოშმარის როლის შესრულებას. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ როლია. ამ მიზნით შეგიძლიათ მას პლედი მოახუროთ.

კოშმარი (თავისთვის): “მე ახლა შევასრულებ დიდი უშველებელი კოშმარის როლს. ჯერჯერობით აქ (სადმე მოშორებით) ჩემს სოროში დავიმალები, მაგრამ როგორც კი ბავშვებს ჩაეძინებათ, მივეპარები და შევაშინებ. ძალიან ჩუმად ვივლი, რომ არ გაიღიონ.”

წამყვანი: “თქვენ ახლა ყველას ტკბილად და მშვიდად გძინავთ. ძალიან კარგი... უეცრად გესმით, რომ სადღაც, თქვენი თავის რომელიდაც აუნჭულიდან რაღაც მოძერება და მოიპარება (კოშმარი ნელ-ნელა უახლოვდება ბავშვებს). ის ჯერჯერობით შორსაა, ამიტომ მშვიდად ხართ. მაგრამ აი, ნაბიჯების ხმა სულ უფრო მატულობს, თქვენ ოდნავ შიში გეუფლებათ და იღვიძებთ. ჩუმად იღვიძებს ყველა, მაგრამ თავი ისე მოგაქვთ, ვითომ ისევ გძინავთ. აი, კოშმარი სულ ახლოსაა. ახლა კი წამოხტით და შეუძახეთ: გაეთრიე, რეგვენო კოშმარო!!!”

ბავშვების ყვირილზე “კოშმარი” შიშით თავის სოროსებრ გარბის, მოკუნტული ჯდება და კანკალებს. წამყვანი აკვირდება, რა ეფექტი იქონია თამაშმა ბავშვებზე.

გაიმეორეთ სავარჯიშო რამდენჯერმე, სანამ “კოშმარი” საბოლოოდ არ “დაითრგუნება”.

თამაშის დასასრულ კოშმარის როლის შემსრულებელი თერაპევტი საჯაროდ იხსნის როლს, რასაც წამყვანიც ხაზგასმით აღნიშნავს.

მე-4 ფაზა: კარგი სიზმრები

“ჩვენ წავიკითხეთ ტექსტი კოშმარების შესახებ. ვნახეთ, როგორ უნდა მოვერიოთ ცუდ სიზმრებს. მაგრამ გეცოდინებათ, რომ არსებობს კარგი სიზმრებიც.”

გთავაზობთ ორ ალტერნატიულ სავარჯიშოს:

1. საუბარი, ხატვა, წერა

“გინახავთ კარგი სიზმრები? აბა, მოვყვეთ, ვის რა სიზმარი უნახავს.”

მოაყოლეთ ბავშვებს კარგი სიზმრების შესახებ, ოდონდ ერიდეთ გრძელ-გრძელ ისტორიებს. შემდეგ:

“ესე იგი, კარგი სიზმრები ყველას გვქონია. ახლა კი, თვალები დავხუჭოთ. ოთახში სიჩუმე დგება. ისენთქეთ ძალიან მშვიდად და ღრმად. და იფიქრეთ თქვენს საუკეთესო სიზმარზე. იფიქრეთ და შეეცადეთ, ცოცხლად წარმოიდგინოთ სიზმარი. თქვენს სიზმარში ყველაფერი ლამაზი და კარგია. სიზმარი ისე დიდია, რომ ადგილი ადარ რჩება ცუდი სიზმრებისთვის. კარგ სიზმარს შეუძლია კოშმარები განდევნოს. ესეც ასე, შეგიძლიათ გაახილოთ თვალები.”

ამის შემდეგ დააწერინეთ ან დაახატინეთ ბავშვებს მათი ლამაზი სიზმრები და დაპირდით, რომ სესიის ბოლოს შინ გაატანო ამ ფურცლებს. (კარგი იქნება, თუ, სანამ გაატანო, წინასწარ ასლებს გააკეთებთ საქალალდებებში ჩასადებად.) დასხით ბავშვები გვერდიგვერდ ხალიჩაზე.

“ესეც ასე, ახლა ყველას თავისი კარგი სიზმარი აქვს. წაიღეთ შინ თქვენი სიზმრები და ყოველ საღამოს, ძილის წინ გადაიკითხეთ. მანამდე კი გავავარჯიშოთ ეს მომენტი. აიღეთ თქვენი ნაწერები და ნახატები და ჩუმად გადაათვალიერეთ... მორჩით ხომ? ახლა დაწესოთ, სიზმრები თავქვეშ ამოიდეთ და იფიქრეთ მასზე... ახლა დაიძინეთ. თუ ცუდი სიზმარი ისევ გეწვიათ, ბალიშის ქვეშ ხელი შეყავით და სიზმარი მოსინჯეთ. აი ასე. შეგიძლიათ გაიღვიძოთ.”

ეს სავარჯიშო ბავშვებს შეუძლიათ შინ, ძილის წინ გააკეთონ დამოუკიდებლად.

2. მაისურზე ხატვა

დაურიგეთ ბავშვებს მაისურები და დაახატინეთ ზედ კარგი სიზმრები (ამისთვის შესაფერისი ფლომასტერები დაგჭირდებათ). გააფრთხილეთ მშობლები, რომ სახლში მისვლისთანავე მაისურები გააუთოვონ, რათა გარეცხვამ ნახატი არ წაშალოს.

ეს მაისური ბავშვს ცუდი სიზმრებისგან დაიცავს. და თუ მაინც ნახავს კოშმარს, გამოღვიძებული დახედავს მაისურს და კარგი სიზმარი გაახსენდება.

მომდევნო სესიაზე გამოიკითხეთ, როგორ იმოქმედა მაისურმა.

მუ-5 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები თქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. შემდეგ აშენებენ “ბუდეს”. დაურიგეთ №11.2 სავარჯიშო ფურცლები და თხოვეთ მშობლებს შვილებთან ერთად წაიკითხონ და შეავსონ ის.

ՇԱՀՄԱԼՈ 11.2

ԹՎՅԱՋՐՈՋ ՏԱԺՄԱՆ ՏԱՎՈՂԻՑԻ

ՌՈՅԱ մօլուս ֆոն ցաեսցնդյօն յոնցլոյէլիո դա մալագոնձ,
ՌՈՅԱ ցամոցալցոմյէն ցոյզո և տնմարո,
ՌՈՅԱ բազաւուս ցաօցոնյօն դա մշյարոյէն,
ԱՏԵՄ մոմյենքյէն մոնի ան և ցազա ցրոցյնացե,
Դա ցերսած էրովոն և մոմյաջրոցյէն!

ԱԵԼՈ ճանչերք, Ի ցեմարյօն մյաջրոջ ցայեցուո և ածանչո:

.....

ՔԱԱՏԵՐԿԱՋԵՄ և ցանցուու ցարչուունուու.

ეუ-12 სისტ. პარბი და ცუდი

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№12.0 სავარჯიშო ფურცელი). გამოიყითხეთ, ხომ არ აწუხებდათ ბავშვებს გასულ ქვირას ცუდი სიზმრები.

მე-2 ფაზა: რა არის კარგი და რა არის ცუდი

წაუკითხეთ და შეავსებინეთ ბავშვებს №12.1 სავარჯიშო ფურცლები.

ცუდები 12.1

კარგი და ცუდი

საშინელებაა, როცა უფროსები ჩხუბობენ. მითუმეტეს, როცა თან ერთმანეთს ცუდად ექცევიან. დაწერე, ვინ იქცეოდა ცუდად შენს ოჯახში?

.....
ზოგჯერ ადამიანი, რომელიც ცუდს სჩადის, მაინც მოგწონს. ეს, ცოტა არ იყოს, დამაბნეველია. ადამიანი შეიძლება ძალიანაც მოგწონდეთ, მაგრამ რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი ცუდი რამ არ ჩაედინა.

ხომ დამაბნეველია ამდენი განსხვავებული გრძნობა?

რა თქმა უნდა, შესაძლებელია – ადამიანი მოგწონდეთ და იმავდროულად არ მოგწონდეთ, რაც მან ჩაიდინა.

დაწერეთ, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ამა თუ იმ ადამიანის (ან ადამიანების).

(ჩაწერეთ ჯერ სახელები)

.....
.....
.....

მე-3 ფაზა: ფიზიკური სავარჯიშო

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ალტერნატიულ სავარჯიშოს.

1. ბოულინგი

დააწერინეთ ბავშვებს ქადალდის ზოლებზე, რა არ მოწონთ (იხელმძღვანელეთ №12.1 სავარჯიშო ფურცლებზე შეტანილი ინფორმაციით). დაეხმარეთ, ვისაც წერა უჭირს. სანამ ბავშვები წერით არიან დაკავებული, ერთ-ერთი თერაპევტი დაწერილ ზოლებს აგროვებს და ბოულინგის ფიგურებს აკრაგს სკოჩით. შემდეგ ფიგურები ოთახის ერთ

ბოლოში ჩაამწერივეთ, ბავშვები კი საპირისპირო მხარეს დაიყენეთ და რიგრიგობით ასროლინეთ ბურთი ზუსტად ისე, როგორც ბოულინგს თამაშობენ ხოლმე. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ბავშვი რომელ ფიგურას წააქცევს. არცერთი ფიგურა ფეხზე მგომი არ უნდა დარჩეს!

2. სულის შებერვა

დააფინეთ ზეწარი იატაკზე. დააწერინეთ ბავშვებს ქაღალდის ნაკუჭებზე, რა არ მოწონო, და დააწყეთ ნაკუჭები ზეწარზე. ბავშვები ზეწრის ირგვლივ დგებიან და ჰაერში სწევენ მას. ზეწარი გაჭიმულ მდგომარეობაში უნდა იყოს. თქვენს ნიშანზე ბავშვები სულის შებერვას იწყებენ, სანამ ყველა ნაკუჭი ძირს არ გადაფრიალდება. მოაგროვეთ მიმოანეული ქაღალდის ნაკუჭები და საზეიმოდ მიაბრძანეთ ნაგვის ყუთში.

შენიშვნა: დაეცალეთ ქაღალდის ზოლებზე დააწერონ, რაც მოწონო და ყველამ ერთად “სათუთად” შეინახოს საღმე, მაგალითად, ბროლის ვაზაში ან ლამბაქში.

მე4 ფაზა: საზრუნავის გადაბარება

წაუკითხეთ და შეავსებინეთ ბავშვებს №12.2 სავარჯიშო ფურცლები. გამოიკითხეთ და განიხილეთ, ვის რა საფიქრადი აწუხებს და ვის როგორ აქვს ნატვირთი უფროსების საზრუნავი.

ურცელი 12.2

ბავშვის საფიქრადი და საზრუნავი

როცა ოჯახში უფროსები ჩეუბობენ, ბავშვებს ბევრი რამ აფიქრებთ: ერთ-მანეთს არაფერი აგნონ უფროსებმა, არ განრისხდნენ უბრალო რამეზე, არ დაავიწყდეთ გადასახადების გადახდა, საჭმლის ყიდვა და ა.შ.

დაწერე, შენ რა გაფიქრებს ხოლმე, როცა ოჯახში უფროსები ჩეუბობენ:

.....

.....

როცა ოჯახში უფროსები ჩეუბობენ, ბავშვები მშობლების საზრუნავს იტვირთავენ ხოლმე: ამზადებენ საღილს, დადიან მაღაზიაში, უვლიან უმცროს დაიკოს ან ძამიკოს და ცდილობენ ალერსით მოექცნენ მშობლებს.

დაწერე, შენ რაზე ზრუნავ, როცა ოჯახში უფროსები ჩეუბობენ:

.....

.....

განუმარტეთ ბავშვებს, რომ სესიის ბოლოს მათ კვლავ უნდა გადააბარონ მშობლებს უველა ის საზრუნავი, რასაც აქამდე უფროსების ნაცვლად აკეთებდნენ. ჩამოწერეთ უველაფერი ქაღალდის ფურცლებზე და შეინახეთ კონვერტში.

მე-5 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები ოქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. შემდეგ აშენებენ “ბუდებ”, სხდებიან შიგ და მშობლებს “უბრუნებენ” საზრუნავს.

დაასრულეთ სესია განტვირთვის ვარჯიშით.

ეტ-13 სესია. ტელიკოგები

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№13.0 სავარჯიშო ფურცელი).

მუ-2 ფაზა: სახლის გამოცვლა

წაიკითხეთ №13.1 სავარჯიშო ფურცელზე მოცემული ტექსტი და განმარტეთ დავალება: ბავშვებმა უნდა დაწერონ, ვის სად უცხოვრია, ვისთან ერთად და რამდენი ხნით. გამოიკითხეთ, ვის რამდენჯერ გამოუცვლია საცხოვრებელი და რომელი სახლი მოწოდათ ყველაზე მეტად.

ურცელი 13.1

სახლის გამოცვლა

კონფლიქტისა და ძალადობის გამო უფროსები ხშირად ერთმანეთს შორებიან და სხვადასხვა სახლებში გადადიან საცხოვრებლად. დაწერე, შენ სად გიცხოვრია:

პირველი სახლი

სად ცხოვრობდი?

ვისთან ერთად ცხოვრობდი?

.....

რამდენი ხნით?

.....

მეორე სახლი

სად ცხოვრობდი?

ვისთან ერთად ცხოვრობდი?

.....

რამდენი ხნით?

.....

მესამე სახლი

სად ცხოვრობდი?

ვისთან ერთად ცხოვრობდი?

.....

რამდენი ხნით?

.....

მეოთხე სახლი

სად ცხოვრობდი?

ვისთან ერთად ცხოვრობდი?

.....

რამდენი ხნით?

.....

სხვა ადგილებშიც თუ გიცხოვრია?
რამდენჯერ გამოგიცვლია საცხოვრებელი?
ყველაზე მეტად რომელი სახლი მოგწონდა?

მე-3 ფაზა: ცვლილებები

წაუკითხეთ და შეავსებინეთ ბავშვებს №13.2 სავარჯიშო ფურცლები. განიხილეთ მათი ემოციური დამოკიდებულება ცვლილებების მიმართ.

ცურცელი 13.2

ცვლილებები

ოჯახური კონფლიქტისა და ძალადობის გამო ოქვენი ცხოვრება ხშირად ძირეულ და მოულოდნეულ ცვლილებებს განიცდის: გიხდებათ საცხოვრებლის გამოცვლა, გაძლევენ ახალ ოთახს, შედისართ ახალ სკოლაში; გადასახლებისას ძველ სახლში გრჩებათ საყვარელი ნივთები, კარგავთ ძველ მეგობრებს...

ამასთან, ან დედიქო ან მამიქო, როგორც წესი, ცალკე იწყებს ცხოვრებას, ქმნის ახალ ოჯახს და ზოგი სამუდამოდაც კი შორდება შვილებს.

დაწერე შენს ცხოვრებაში მომხდარი ამგვარი ცვლილებების შესახებ:

.....

რა გენატრება ძველი ცხოვრებიდან?

.....

რა მოგწონს შენს ახალ ცხოვრებაში?

შენიშვნა: ეს ორი უპანასკნელი კითხვა შეგიძლიათ ცალკე განიხილოთ და პასუხები ერთ საერთო ფურცელზე ჩამოწეროთ. ასეთ შემთხვევაში პასუხები მოგვიანებით თავად უნდა შეიტანოთ სავარჯიშო ფურცლებში.

მე-4 ფაზა: მშობლებთან ერთად

ბავშვები თქვენთან ერთად უყვებიან მშობლებს, რა გააკეთეს სესიაზე. “ბუღეს” რომ ააშენებენ და ჩასხდებიან, უამბეთ ბავშვებს, რომ მათ მშობლებს დღესთვის “უსაფრთხოების გეგმა” აქვთ მომზადებული (№13.3 და 13.4 სავარჯიშო ფურცლები). მათი დავალებაა, ერთად გადახედონ და განიხილონ, რა მოწონს ბავშვს და რა არა.

№13.4 სავარჯიშო ფურცელზე მოცემულ უკანასკნელ კითხვას ბავშვმა და მშობელმა ერთად უნდა გასცენ პასუხი.

უსაფრთხოების გეგმა 13.3

უსაფრთხოების გეგმა (1)

ეს გეგმა შენმა [დედიკომ/მამიკომ] შენოვის მოამზადა. “უსაფრთხოება” ნიშნავს იმას, რომ ვერავინ გავნოს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ვერც შენ ავნო ვინძეს, მითუმეტეს, საკუთარ თავი! ეს გეგმა დაგეხმარება იმაში, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნო და არ შეგეშინდეს, თუკი კვლავ კონფლიქტისა და ძალადობის მოწმე გახდები. ახლა კი კარგად დაიმახსოვრე:

რა უნდა ქნა იმისთვის, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნო:

.....

რა უნდა ქნა იმ შემთხვევაში, თუ კვლავ კონფლიქტისა და ძალადობის მოწმე გახდები:

.....

უსაფრთხოების გეგმა 13.4

უსაფრთხოების გეგმა (2)

ეს გეგმა დაგეხმარება იმ შემთხვევაშიც, თუს უეცრად ქუჩაში, მაღაზიაში ან სადმე სხვაგან გადაეყრები. შენმა [დედიკომ/მამიკომ] მოიფიქრა, როგორ უნდა მოიქცე ასეთ დროს. კარგად დაიმახსოვრე:

რა უნდა ქნა, თუს უეცრად გადაეყრები:

.....

თავადაც ხომ არ გაქვს რამე იდეა?

.....

გახსოვდეს: არასდროს დაარტყა არავის, თუნდაც პასუხად. ასე ჯობს შენივე უსაფრთხოებისთვის.

დაასრულეთ სესია განტგირთვის გარჯიშით.

ევ-14 სესია. დამშვიდობება

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით, ტკბილეულით და სავარჯიშოთი: “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№14.0 სავარჯიშო ფურცელი). გამოიკითხეთ, ხომ არ აქვთ ბავშვებს კითხვები “უსაფრთხოების გეგმასთან” დაკავშირებით.

მე-2 ფაზა: დადგებითი თვისებები

დააყენეთ ბავშვები წრეში, ერთ-ერთი დგება ცენტრში. ამ უკანასკნელის შესახებ დანარჩენებმა რიგრიგობით უნდა დაასახელონ ესა თუ ის დადგებითი თვისება, ოღონდ ეს არ უნდა ეხებოდეს მის გარეგნობას (მაგალითად, ლამაზი თმა) ან მატერიალურ საგნებს (“მაგარი მობილური”). როცა ყველა გამოთქვამს თავის აზრს, მომდევნო ბავშვი იკავებს ცენტრში ადგილს.

ბავშვებს ხშირად უჭირთ ქების მოსმენა, ჩვევიათ შეპასუხება. ამიტომ ასწავლეთ ბავშვებს, რომ საჭიროა ბოლომდე მოუსმინონ სხვას და მადლობა თქვან ქებაზე.

მე-3 ფაზა: დამშვიდობება

მომდევნო სესია ჯგუფის წევრებისთვის უკანასკნელი შეხვედრა იქნება. გამოიკითხეთ რიგრიგობით, რას ფიქრობენ ბავშვები ამის შესახებ.

დამშვიდობება მნიშვნელოვანი მომენტია, ამიტომ თითოეულმა №14.1 სავარჯიშო ფურცელზე უნდა დაწეროს, დახატოს, ჩაწებოს გამოსათხოვარი სიტყვა ან ნახატი. არ ხაახდოთ ბავშვები ერთმანეთის ფურცლებში, რადგან ეს უნდა იყოს სიურპრიზი მომდევნო სესიაზე.

ცურცელი 14.1

დამშვიდობება

ეძღვნება:

მე-4 ფაზა: ვის რა ეხერხება

გამოიძახეთ ბავშვები სათითაოდ ხალიჩაზე და თხოვეთ წარმოადგინონ, ვის რა ეხერხება: ცეკვა, ხტუნვა, მალაყი და ა.შ. დააჯილდოვეთ თითოეული გამომსელელი აპლოდისმენტებით.

მე-5 ფაზა: მშობლებთან ერთად

დაუთმეთ ამ ფაზას, სულ მცირე, 30 წეთი. დაიწყეთ განტვირთვის ვარჯიშით. ვარჯიშის მსვლელობისას თითოეული მშობელი და შვილი წყვილ-წყვილად გადიან ცალკე ოთახში, რომ კოლეგა თერაპევტის დახმარებით მოკლე გამოსამშოვიდობებელი სიტყვა ჩაწეროს ვიდეოკამერის წინ (არა უმეტეს 1-2 წეთისა). ეს ჩანაწერიც უგანასკნელი სესიისთვისაა განკუთვნილი.

ჩაწერას ყველა რომ მორჩება, ბავშვები და მშობლები “ბუდეს” ააშენებენ და ერთ-მანეთს მოუყვებიან, რა გააკეთეს სესიაზე.

ეპ-15 სესია. უკანასკნელი შეხვედრა

1-ლი ფაზა: დღეს როგორ გრძნობ თავს?

დაიწყეთ სესია ხილის წვენით და ტქმილეულით. ეს უკანასკნელი შეხვედრაა და ვინც სურვილს გამოთქვამს, უფლება ექნება შინ წაიღოს საკუთარი სავარჯიშოთა კრებული. დაარიგეთ კრებულები, მათთან ერთად სავარჯიშო ფურცლები “დღეს როგორ გრძნობ თავს?” (№15.0 სავარჯიშო ფურცელი). მიეცით დრო, რომ გადათვალიერონ საკუთარი ნაშრომი და ბოლოს დააწერინეთ №15.0 სავარჯიშო.

2-ლი ფაზა: ბოლო სესია

წაკითხეთ ბავშვებს №15.1 სავარჯიშო ფურცელზე მოცემული ტექსტი. ტექსტის ბოლოში ჩააწერინეთ თქვენი დაწესებულების დასახელება და მისამართი. არ დაგავიწყდეთ “ბავშვთა ცხელი ხაზის” ტელეფონის ნომრის მითითებაც. გამოიკითხეთ, ვინ რა იცის “ბავშვთა ცხელი ხაზის” შესახებ, რა შემთხვევებში რეკავენ იქ ბავშვები და ა.შ.

ფურცელი 15.1

ბოლო სესია

დღეს ჩვენი ჯგუფის უკანასკნელი შეკრებაა. ზოგ თქვენგანს აღარ დაჭირდება თერაპია, დანარჩენებს კი ალბათ კიდევ რამდენჯერმე დავიბარებთ მშობლებთან ერთად.

აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც თერაპიაზე დადისართ. ამ დროის მანძილზე ჩვენ ვითამაშეთ, ვივარჯიშეთ და გავარჩიეთ ისეთი თემები, როგორიცაა ბრაზი და სიხარული; დანაშაულის გრძნობა და უსაფრთხოება; კონფლიქტი, საიდუმლოებები, ცუდი სიზმრები და მრავალი სხვა.

მინდა გითხრათ, რომ თქვენ ყველა ყოჩადი ბავშვები ხართ! ადვილი ხომ არაა ასეთი თერაპიის გავლა!

თქვენ უკვე იცით, რომ თუ კიდევ მოგაწვებათ ცუდი გრძნობები (სევდა, ბრაზი, შიში), ჯობს ვინმეს გაუზიაროთ, რადგან ამაზე უკეთესი წამალი ქვეყნად არ არსებობს. შეგიძლიათ “ბავშვთა ცხელ ხაზზე” დარეკორ, ყოველდღე შუადღის 2-დან საღამოს 8 საათამდე. ტელეფონის ნომერი უკანა გვერდზე წერია.

თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ სასაუბროდ ისევ ჩვენთან მოხვიდეთ, ოდონდ ჯერ დედისგან (ან უფროსისგან) აიღოთ ნებართვა, შემდეგ კი ჩვენ დაგვიკავშირდით, რომ შესაფერისი დრო დავთქვათ. ჩვენი მისამართია:

.....
შევთანხმდით?

შენიშვნა: “ბავშვთა ცხელი საზის” ტელეფონის ნომერი ხელით მიაწერინეთ უკანა მხარეს. ეს ორგანიზაცია, თუ თხოვთ, თავადაც მოგაწვდით მისაწებებელ სტიკერებს თავიანთი კოორდინატებით.

შემეგო ფაზის დაწყებამდე დროებით ჩამოართვით ბავშვებს სავარჯიშოთა კრებულები.

მე-3 ფაზა: როგორი იყო თერაპია?

სათითაოდ გამოიკითხეთ, ყველაზე მეტად რა მოეწონათ ბავშვებს თერაპიაში, აგრეთვე, ყველაზე მეტად რა გაუჭირდათ.

მე-4 ფაზა: განტვირთვის სავარჯიშო

თხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ ორი სავარჯიშო, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ თერაპიის მსვლელობისას და გაიმურეთ ისინი ხელახლა.

მე-5 ფაზა: გამომშვიდობება მშობლებთან ერთად

მოაწყეთ გამომშვიდობება სილის წვენის, ნამცხვრისა და ტკბილეულობის თანხლებით. დადგა ვიდეოჩანაწერის ჩვენების დრო. მშობლები ნახავენ, როგორ ჩაიარა მათი შვილების თერაპიაში. საკუთარი თავის ნახვა ზოგი ბავშვისთვის შეიძლება სანერვი-ულ გამოდგეს. ამიტომ დაარწმუნეთ პატარები, რომ ვიდეოჩანაწერში მხოლოდ სასიამოვნო რამებია ასახული და გამოტოვებულია ყველა უსიამოვნო და შეუფერებელი მომენტი (მაგალითად, როგორ იჩინების ვიდაც ცხვირს).

მშობლების შემოსვლამდე ბავშვებთან ერთად ერთგვარი თეატრალური სცენა მოაწყეთ ტელევიზორის წინ. შემეგ მოიწვიეთ მშობლები და ჩართეთ ჩანაწერი. დროდადრო დაურთეთ სიტყვიერი განმარტებები. სეანსის დასრულებისას წარმოადგინეთ ბავშვებისა და მშობლების მიერ წინა სესიაზე გამზადებული გამოსამშვიდობებელი სიტყვები და ნახატები. შემდეგ სათითაოდ გამოიძახეთ ბავშვები და შეაქეთ კარგი საქციელისთვის. დაურიგეთ სერთიფიკატები, სავარჯიშოთა კრებულები და დააჯილდოდვეთ აპლოდისმენტებით.

დასასრულ, მშობელთა თერაპევტებიც სათითაოდ აჯილდოვებენ მშობლებს ქებით და აპლოდისმენტებით.

რე დაბჭირდება:

- ჭიქები, გრაფინები, ხელსახოცები
- გამაგრილებელი სასმელები, ტკბილეული, ორცხობილა
- ვიდეოპარენა
- თაბახის ფურცლები
- დიდი (მაგ., 2) ფორმატის ფურცლები
- ფლომასტერები და მარკერები
- ფანჯრები და ფანჯრის სათლელები
- ფერადი ცარცი
- საგარჯიშოთა კრებული თითოეული ბავშვისთვის
- საქადალდები საგარჯიშოთა კრებულისთვის
- სპორტული ინვენტარი განტვისთვის სავარჯიშოებისთვის
- სკოხი
- პლედები და ბალიშები
- პლუშის სათამაშოები
- რგოლები (პულაპუპი) და უბრალო თოჯინები
- ბოულინგის (პლასტმასის) ფიგურები
- სიდი-პლეიერი
- სიდი სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური ნომრებით
- შპალერი ან ბავშვის სხეულის ზომის ფურცლები
- ქვიშით გატენილი ქისები, სათამაშო ჟელე
- ლეიიბები, პენოპლასტის ნატეხები, კრივის ტომარა
- მუსიკალური ინსტრუმენტები
- მაისურები
- მაისურზე ხატვისთვის შესაფერისი ფლომასტერები
- კუბები და სხვა შესაფერისი მასალა “ბუდის” ასაშენებლად
- ფოტოპარატი
- ზოლებად დაჭრილი ქადალდის ნაჭრები
- მუყაოს კოლოფი
- (ზურგ)ჩანთები
- კონვერტები
- სტიკერები “ბავშვთა ცხელი ხაზის” ტელეფონის ნომრით
- პროექტორი ან ტელევიზორი

အေဂျင်မြန်

ქ. პარლემის ბავშვთა და მოზარდთა ტრაგმის ცენტრი შექმნილია კენემერლანდის ორთოპედაგოგიური ცენტრისა და ჩრდილოეთ პოლანდის პროვინციის მოზარდთა რეგიონალური ფსიქიატრიული პოლიკლინიკის ერთობლივი ძალისხმევით. ტრაგმის ცენტრი იკვლევს ახალ მეოთხებს ტრაგმირებული ბავშვებისა და მათი შშობლების დასახმარებლად. მაღლობა ტონ ვან ვოორდენს, კეის ბასტიანსეს და ჟანეტ ვან ბაგელს გაწეული შრომისთვის.

HORIZON-ის სერიის წინა გამოცემები – თერაპიის მეთოდიკა ბავშვებისთვის, რომლებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს, ასევე მათი მშობლებისთვის – შემუშავებულია ფრანგის ლამერს-ვინკელმანისა და იგა ბიანიჩის მიერ. მათ საფუძვლებზე შესაძლებელი გახდა წინამდებარე მეთოდიკის შექმნა, რასაც წინ უძღვდა მთელი ჩვენი ჯგუფის თავდადებული და კოორდინირებული შრომა. საწყის ფაზაში დიდი დახმარება გაგვიწია პარლემის ბავშვთა დაცვის ორგანიზაციამ. წვლილი მიუძღვის ბავშვთა და მოზარდთა ტრაგმის ცენტრის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით კი – ნილს ერკამპს, როზეგ პაგენს და ედიტ ლე ბლანს.

დაბოლოს, გამოვხატვთ განსაკუთრებულ მადლიერებას პროფესორ ფრანსის ლა-
მერს-ვინკელმანის მიმართ. ესაა არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომელიც თავდაუზოგა-
ვად იღწვის “აბუბად აგდებული” ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვის. მისი მოღ-
ვაწეობისა და შრომის შედეგია ის, რომ დაარსდა ბავშვთა და მოზარდთა ტრაგმის
ცენტრი და სინათლე იხილეს HORIZON-ის ამ გამოცემებში.

მარგრეტ ვისერი, ინგრიდ ლეუვენბურგი

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის “ბავშვთა დახმარების ცენტრის” გუნდი, რომელიც მუშაობს ბავშვთა ძალადობისა და უგულებელყოფისა დაცვაზე საქართველოში, უკროდება მარგრეტ ვისერის და ინგრიდ ლეუვენბურგის სამაღლობრელ წერილს და თავის მხრივ განსაკუთრებულ მაღლიერებას გამოხატავს ქალბატონ ფრანსის ლამერს-ვილგელმანისა და მარგრეგ ვილსენის მიმართ, რომელებმაც არამარტო შესაძლებელი გახადეს ამ სახელმძღვანელოთა კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა, არამედ თავიანთი ცოდნა და გამოცილება გაუზირეს ქართველ სპეციალისტებს.

დიდი მადლობა მირიამ ბლააკს „დევენს ფორ ჩილდრენ ინტერნაციონალი/ეკპატ“ (DCI/ECPAT, the Netherlands) –ის ბავშვის უფლებათა და ბავშვთა დაცვის ოფიცერს, გულიოთადი თანამშრომლობისა და მონდომებისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა ამ პროექტის დაგენერაცია და განხორციელება.

ლია სარალიძე

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

თბილისი, 2012 წლის 5 მარტი

HORIZON-ის პოლანდიური ვერსია მომზადებულია:

რედაქტორი: იან ტილსი

დიზაინი: Duotone grafisch ontwerpers, Utrecht

ილუსტრაციები: ნ. ერკამპი

დაკაბადონება: მერელ ვან დამი, გამომცემლობა SWP

გამომცემელი: პოლ როთხენსტეინი

სხვა გამოცემების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ გამომცემლობა SWP-ს
Postbus 257, 1000 AG Amsterdam

Telefoon: (020) 330 72 00

Fax: (020) 330 80 40

E-mail: swp@swpbook.com

Internet: www.swpbook.com

თერაცის მინიჭებულებების დანართი

- ჰორიზონტი ვე** სკოლაში არის გამოხატისთვის, რომელიც მოქალაქეების ეპლების გრძელებას.
- ჰორიზონტი ვგ** სკოლაში არის გამოხატისთვის, რომელიც მოქალაქეების ეპლების გრძელებას.
- ჰორიზონტი ყვ** სკოლაში არის გამოხატისთვის, რომელიც უკილავებს მოქალაქეების ეპლების გრძელებას.
- ჰორიზონტი ყგ** სკოლაში არის გამოხატისთვის, რომელიც უკილავებს მოქალაქეების ეპლების გრძელებას.



თერაპევტის სახელმძღვანელო ბავშვთა ჯგუფური თერაპიის სტრუქტურასა და მეთოდებს განიხილავს. საუბარია 4-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებზე, რომელებმაც ოჯახური კონფლიქტი და ძალადობა განიცადეს. სახელმძღვანელოში დეტალურადაა აღწერილი ასახული ბავშვებზე, როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა თითოეულ სესიაზე, როგორ გაშეკრდეს ცალკეული თემები: დანაშაულის გრძნობა, ბრაზი, უსაფრთხოება, კოშმარები, საზრუნავი და მრავალი სხვა. ამისთვის კი რამდენიმე მეთოდი გამოიყენება: დისკუსია, ხატვა, თამაში და ვარჯიში.

საგარჯიშოთა კრებულის ფურცლებზე მოცემულია საკითხები ტექსტები და საგარჯიშოები. ის გაკუთხნილია ბავშვებისთვის.

მშობელთა ჯგუფის მენტორის სახელმძღვანელო თავის მხრივ მშობელთა კრებების დღის წესრიგსა და მუშაობის მეთოდებს ეხება.

მშობლების საგარჯიშოთა კრებული მრავალ საინტერესო ინფორმაციას იძლევა განმარტავს ოჯახური კონფლიქტისა და ძალადობის ასპექტებს, განიხილავს ძალადობით განპირობებულ ჩივილებსა და ბავშვის უსაფრთხოების პრობლემებს, ესმარება მშობლებს ბავშვთან ურთიერთობაში თერაპიის მსვლელობისას. მოცემული სახელმძღვანელოები და საგარჯიშოთა კრებულები ჯგუფურ თერაპიაზეა გათვალისწინებული, თუმცა ინდივიდუალური თერაპიისთვისაც გამოდგება.